

საქართველოს კანონი  
კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

კარი I. ზოგადი დებულებანი

თავი I. კანონის მიზანი, მოქმედების სფერო და კანონში გამოყენებული ტერმინები

**მუხლი 1. კანონის მიზანი**

ამ კანონის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება.

**მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო**

1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე.
2. საქართველო ზრუნავს საზღვარგარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე.
3. კულტურული მემკვიდრეობის, კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის, ასევე კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პროფესიული საქმიანობის რეგულირების წესი განისაზღვრება ცალკე საკანონმდებლო აქტით.

**მუხლი 3. კანონში გამოყენებული ტერმინები**

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ავთენტიკურობა – ობიექტის, მისი სტრუქტურული ელემენტის, გარემოს, კონტექსტის, ფუნქციის ან/და თვისებების პირველქმნილობა, მათი შექმნის ან ჩამოყალიბების თანადროულობა;
- ბ) არქეოლოგიური ობიექტი – 100 ან მეტი წლის წინ ნაწილობრივ ან სრულად განამარხებული ან წყალქვეშ მოქცეული ნაშთი, კულტურული ფენა, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად ან რომელსაც ატყვია ადამიანის ზემოქმედების კვალი;
- გ) არქეოლოგიური სამუშაოები – სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც მიმართულია არქეოლოგიური ობიექტების გამოსავლენად და შესასწავლად; არქეოლოგიური ობიექტის მოკვლევის, გათხრის, რესტავრაცია-კონსერვაციისა და მეცნიერული შესწავლის სრული ციკლი;
- დ) არქეოლოგიური დაზვერვა – არქეოლოგიური ობიექტის არსებობის, მისი სტრატეგრაფიისა და ქრონოლოგიის ვიზუალურად ან სასინჯი თხრილებით განსაზღვრა;
- ე) არქეოლოგიური გათხრები – არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენისა და მეცნიერული შესწავლის მიზნით ჩატარებული მიწის ან წყალქვეშა სამუშაოები;
- ვ) დაფარვითი ინვენტარიზაცია – კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების გამოვლენის, ამ ობიექტებისა და მათი გარემოს შესახებ ინფორმაციის მოძიების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობა;
- ზ) ისტორიული განაშენიანება – 100 ან მეტი წლის წინ ჩამოყალიბებული, ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე განაშენიანება;
- თ) ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო – 100 ან მეტი წლის წინ ჩამოყალიბებული მხატვრულ-არქიტექტურული, სივრცითი, ლანდშაფტური ან სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტების ერთობლიობა;
- ი) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი (ძეგლი):
  - ი.ა) კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ან მოძრავი ობიექტი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული უძრავი ან მოძრავი ნივთი), რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი;
  - ი.ბ) კომპლექსური ძეგლი – ფიზიკურად, ფუნქციურად, ისტორიულად ან ტერიტორიულად დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ერთობლიობა, რომელიც ტოპოგრაფიულად იდენტიფიცირებადი ერთეულია და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი;
- კ) კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა (დამცავი ზონა) – კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების ირგვლივ ან/და მათი გავრცელების ან გავლენის არეალში ამ კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ექსპლუატაციის განსაკუთრებული რეჟიმი და რომლის დანიშნულებაც, მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობა დაიცვას არასასურველი ზეგავლენისაგან;

ლ) კულტურული მემკვიდრეობა:

ლ.ა) მატერიალური – ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი სახის მხატვრული, ესთეტიკური, ისტორიული, მემორიალური ღირებულების მქონე არქიტექტურული, ხელოვნების, ქალაქთმშენებლობითი, სასოფლო, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, მონუმენტური, ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული უძრავი ან მოძრავი ობიექტები, დოკუმენტური მასალები, ასევე ბალები, პარკები, ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები, ისტორიული დასახლებები,



ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, დაკავშირებული ქვეყნის ისტორიასთან, განვითარებასთან, ფოლკლორთან, რწმენასა და ტრადიციებთან, ადრე ან ამჟამად არსებულ ცივილიზაციასთან;

ლ.ბ) არამატერიალური – ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, ენის, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის, ჩათვლით, საშემსრულებლო ხელოვნება, ადათწესები, ჩვეულებები, ტრადიციულ ხელოვნებასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები, ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები, რომლებიც საზოგადოების, ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ აღიარებულია მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად;

მ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა – სამართლებრივ, სამეცნიერო-კვლევით, სარეაბილიტაციო, საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის სრული მრავალფეროვნებით შენარჩუნება და მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა;

ნ) კულტურული ფასეულობა – შემოქმედებითი პროცესის შედეგად, ნებისმიერი მასალითა და საშუალებით, ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი უძრავი ან მოძრავი ნივთი, რომელსაც აქვს მხატვრული, ესთეტიკური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიული, რელიგიური, მემორიალური, მეცნიერული, ტექნიკური, ტექნოლოგიური ღირებულება;

ო) კულტურული ფენა – მიწის შრეები ან წყლით დაფარული ტერიტორია (ფსკერი), რომელსაც ატყვია ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის კვალი;

პ) ურბანული ქსოვილი – ქალაქთმშენებლობითი სტრუქტურების, მათ შორის, ქუჩათა ქსელის, მოედნების, ბაღების, შენობა-ნაგებობების, ეზოების ან საინჟინრო კომუნიკაციების ერთობლიობა;

ჟ) უძრავი ძეგლის გადაადგილებადი ფრაგმენტი – უძრავი ძეგლის წარსულში ან ამჟამად შემადგენელი არსებითი ნაწილი, რომელიც გამოცალკევებულია ძეგლისაგან და ამ კანონით აღიარებულია ცალკე უფლების ობიექტად, ან რომლის გამოცალკევებაც, უძრავი ძეგლის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ძეგლის დაუზიანებლად;

რ) უძრავი ძეგლის ტერიტორია – უძრავ ძეგლზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებული მიწის ნაკვეთი, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – უძრავი ძეგლის მიერ უშუალოდ დაკავებული ტერიტორია;

ს) უძრავი ძეგლის გადაადგილება – უძრავი ძეგლის მდებარეობის ცვლილება მისი ძირითადი მახასიათებლების ცვლილების გარეშე, ძეგლის დაშლითა და თავდაპირველი სახით აღდგენით ან მისი სხვაგვარად გადატანით;

ს<sup>1</sup>) უძრავი ძეგლის ცვლილება – ძეგლის ცვლილება, როგორცაა მოცულობის შეცვლა, რაც შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ აკნინებს ან არ ჩრდილავს ძეგლის ისტორიულ და კულტურულ ღირებულებას, ან ხელს არ უშლის მის სათანადო ინტერპრეტაციასა და დაფასებას;

ტ) ფონური განაშენიანება – განაშენიანების ორგანული ნაწილი, რომელიც აყალიბებს ძეგლების მხატვრულ-არქიტექტურულ კონტექსტს, ხელს უწყობს ძეგლების დომინანტური როლის შენარჩუნებას და წარმოჩენას;

უ) რეკულტივაცია – არქეოლოგიური სამუშაოების დასრულების შემდეგ, შესწავლილი ობიექტის (ტერიტორიის) კონსერვაციის ან/და გარემოს თავდაპირველი სახით აღდგენის მიზნით მიწის ფენით ხელახლა დაფარვა;

ფ) ძეგლის გაწმენდა – ძეგლზე დროთა განმავლობაში, ბუნებრივი ან ხელოვნური ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი ან დაგროვილი ორგანული ან არაორგანული საფარის, ფენების ან დანამატების მოშორება ძეგლში ცვლილებების შეტანის (უძრავი ძეგლის შემთხვევაში – ასევე მიწის არსებული ზედაპირის მოხსნის) გარეშე;

ქ) ძეგლის ადაპტაცია – ძეგლში მისი რეაბილიტაციის, ასევე ფუნქციის დასაშვები ცვლილების ინტერესით განპირობებული იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლებიც არ იწვევს ძეგლის მხატვრულ-ესთეტიკურ, ისტორიულ და სხვა მნიშვნელობის შემცირებას და გამართლებულია მეთოდოლოგიურად;

ღ) ძეგლის კონსერვაცია – ძეგლის არსებული მდგომარეობის შენარჩუნების, მისი განადგურების ან შეუქცევადი ცვლილებებისაგან დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობა. ძეგლზე ასევე შეიძლება ჩატარდეს პრევენციული კონსერვაცია, რომლის მიზანია მხოლოდ პირველადი, გადაუდებელი, დროებითი ზომების მიღება ძეგლის რეაბილიტაციამდე. პრევენციული კონსერვაციისას გამოყენებული მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებდეს გამოყენებული მასალებისა და საშუალებების ძეგლის დაუზიანებლად მოხსნის შესაძლებლობას;

ყ) ძეგლის მოვლა-პატრონობა – ძეგლის (უძრავი ძეგლის – შემთხვევაში – ასევე მისი ტერიტორიის) დაზიანებისა და განადგურებისაგან დაცვის, მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულების შენარჩუნების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი წესით განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობა;

შ) ძეგლის რესტავრაცია – შემორჩენილი ავთენტიკური მასალისა და ელემენტების ფარგლებში ძეგლის დაზიანებული ფრაგმენტების თავდაპირველი სახით აღდგენა მისი შექმნის თანადროული ან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;

ჩ) ძეგლის რეკონსტრუქცია – დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ხელახლა აშენება;



ც) ძეგლის თავდაპირველი სახით აღდგენა – რესტავრაციის ან რეკონსტრუქციის (მათ შორის, გვიანდელი დანამატების მოხსნის) გზით ძეგლისათვის მისი შექმნის მომენტისთვის არსებული სახის მიცემა;

დ) ძეგლის სტატუსი – ობიექტის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც იწვევს მასზე საქართველოს კანონმდებლობით ძეგლის მიმართ დადგენილი რეჟიმის გავრცელებას;

ე) ძეგლის დაზიანება – ძეგლის ან მისი ნაწილის იმგვარი სახეცვლილება, რომელიც აუარესებს ძეგლის მდგომარეობას ან აღქმას;

ვ) ძეგლის განადგურება – ძეგლის მოსპობა, ასევე ძეგლზე ან მის ნაწილზე იმგვარი ზემოქმედება, რომელიც ძეგლს უკარგავს იმ მახასიათებლებს, რომლებსაც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი;

გ) ძეგლის დაზვერვა – ძეგლის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, შესაბამისი მეთოდოლოგიით, მასში ფიზიკური ჩარევით ან ვიზუალური შესწავლის საშუალებით განხორციელებული საქმიანობა.

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი № 528 - სსმ I, № 34, 04. 1 2.200 8 წ., მუხ.2 12

## კარი II. კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა, დაცვა და მართვა

### თავი II. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემა

#### მუხლი 4. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანოები

1. კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (შემდგომ – სამინისტრო), საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოები, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები.

2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავიანთ უფლებამოსილებებს ახორციელებენ „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების“ მე-7, მე-8 და მე-9 მუხლებით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.

#### მუხლი 5. სამინისტროს უფლებამოსილებანი კულტურული მემკვიდრეობის სფეროში

1. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში სამინისტრო:

ა) ზედამხედველობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, შეიმუშავებს და წარმართავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას;

ბ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში შეიმუშავებს და გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;

გ) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენას, დაცვას, პოპულარიზაციას და მისი მდგომარეობის სისტემატურ შემოწმებას;

დ) უზრუნველყოფს გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტიზასა და სახელმწიფო აღრიცხვას, ადგენს შესაბამის წესებს;

ე) ზედამხედველობს ძეგლზე წარმოებულ და არქეოლოგიურ სამუშაოებს და ქმნის სამუშაოების მიმღებ კომისიებს;

ვ) აკონტროლებს კულტურული მემკვიდრეობის საზღვარგარეთ გატანას, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ზ) უზრუნველყოფს ისტორიული არელების დაფარვით ინვენტარიზაციას, შეიმუშავებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და მათ ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს;

თ) ქმნის კულტურული მემკვიდრეობის ერთიან საინფორმაციო სისტემასა და ბაზას;

ი) შეიმუშავებს და ახორციელებს კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნობრივ და სახელმწიფო პროგრამებს, ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს;

კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად აჩერებს ყველა სახის საქმიანობას, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კულტურულ მემკვიდრეობას;

ლ) თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის, მათზე რეაგირებისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში ადგენს შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს;

მ) ახდენს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიკაციას, დოკუმენტურ (აუდიო-, ვიდეო, წერილობით) ფიქსაციას, შენახვასა და დაცვას;



ნ) საომარი მოქმედებებისა და საგანგებო მდგომარეობის დროს, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად ზრუნავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე;

ო) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი) უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით გადასცეს ამ კანონით განსაზღვრული, სამინისტროს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების გამოცემის უფლებამოსილება მის ტერიტორიულ ორგანოს, ასევე სტრუქტურულ ერთეულს.

3. მინისტრი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული აქტების გამოცემის უფლებამოსილება ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე გადასცეს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისათვის დელეგირებულ უფლებამოსილებათა მოცულობა, განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულებით.

4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროში იქმნება მინისტრის სათათბირო ორგანო – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო (შემდგომში – საბჭო).

5. საბჭო დაკომპლექტებულია დარგის ექსპერტებითა და საზოგადო მოღვაწეებით. საბჭოს საქმიანობის წესი და კომპეტენცია განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

6. საბჭო იხილავს:

ა) ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ასევე ძეგლის კატეგორიის განსაზღვრისა და შეცვლის საკითხებს;

ბ) ძეგლზე და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტებზე ჩასატარებელი სამუშაოების სამეცნიერო-მეთოდურ საკითხებს;

გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის პროექტებს, ისტორიული დასახლებებისათვის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის საკითხებს;

დ) კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენისა და მათ ფარგლებში სამინისტროს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის საკითხებს;

ე) „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ 1972 წლის კონვენციით შექმნილ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში (შემდგომში – მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხა) შესატანად ძეგლების წარდგენის საკითხებს;

ვ) კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განსახორციელებელ სახელმწიფო პროექტებსა და პროგრამებს;

ზ) საბჭოს დებულებით მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ სხვა საკითხებს.

7. საბჭოს გადაწყვეტილებები მინისტრისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა.

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი № 528 - სსმ I, № 34, 04.12.2008 წ., მუხ.212

საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.

## **მუხლი 6. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში**

1. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ეროვნული არქივი):

ა) ამ კანონითა და „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს ეროვნულ საარქივო ფონდში არსებული კულტურული მემკვიდრეობისა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების გამოვლენასა და აღწერას, პასუხისმგებელია მათ მოვლა-პატრონობაზე, უზრუნველყოფს მათზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას;

ბ) გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას აწვდის სამინისტროს;

გ) კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში შემავალი ორგანოების სხვა ფუნქციები განისაზღვრება „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

## **მუხლი 7. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში**

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ და სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში:

ა) ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ მათ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენას, აღწერას და მისი მდგომარეობის სისტემატურ შემოწმებას, ზრუნავენ მის მოვლა-



პატრონობაზე, შესწავლასა და რეაბილიტაციაზე;

ბ) სამინისტროს აწვდიან ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის, გამოვლენისა და მისი მდგომარეობის შესახებ;

გ) კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ინფორმაციული და ტექნიკური ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობენ სამინისტროსთან, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან;

დ) ახორციელებენ კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საქმიანობას.

### **მუხლი 8. მუზეუმ-ნაკრძალი**

1. მუზეუმ-ნაკრძალი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, სამინისტროს წარდგინების, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე – აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარდგინების საფუძველზე. მუზეუმ-ნაკრძალს მთლიანად ან ნაწილობრივ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ძეგლები, ასევე არქეოლოგიური ობიექტები და სხვა ქონება გადაეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მუზეუმ-ნაკრძალის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს მუზეუმ-ნაკრძალის დაფუძნების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული ორგანო.

2. მუზეუმ-ნაკრძალის მიზანია მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ობიექტების დაცვა, ექსპონირება, პოპულარიზაცია და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

3. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, მუზეუმ-ნაკრძალს შეიძლება განესაზღვროს სამოქმედო არეალი, რომლის ფარგლებშიც იგი ახორციელებს ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტების მდგომარეობის სისტემატურ შემოწმებას და სხვა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

4. მუზეუმ-ნაკრძალის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით და მუზეუმ-ნაკრძალის დებულებით.

5. მუზეუმ-ნაკრძალის სახეობებია:

ა) არქიტექტურული;

ბ) არქეოლოგიური (არქეოლოგიური პარკი);

გ) ეთნოგრაფიული;

დ) ისტორიული.

6. მუზეუმ-ნაკრძალი ასევე შესაძლებელია იყოს კომპლექსური – ერთდროულად იყოს ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული რამდენიმე სახეობის.

*საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5553 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.*

### **მუხლი 9. ფიზიკური და იურიდიული პირების უფლება-მოვალეობანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში**

1. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან:

ა) დაიცვან და მოუფრთხილდნენ კულტურულ მემკვიდრეობას;

ბ) სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სხვა სახელმწიფო ორგანოებს დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის, გამოვლენის ან კულტურული მემკვიდრეობისათვის საფრთხის შემცველი გარემოების არსებობის შესახებ;

გ) ხელი შეუწყონ მუზეუმ-ნაკრძალს შესაბამის სამოქმედო არეალში მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის შემოწმებაში.

2. ფიზიკური და იურიდიული პირების სხვა მოვალეობები და უფლებები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

### **თავი III. გამოვლენილი ან აღმოჩენილი კულტურული მემკვიდრეობის პირველადი (დროებითი) დაცვა**

#### **მუხლი 10. გამოვლენილი ან აღმოჩენილი კულტურული მემკვიდრეობის პირველადი (დროებითი) დაცვის რეჟიმი**

1. თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი გამოავლენს ან აღმოაჩენს კულტურულ მემკვიდრეობას, ან ამის შესახებ გაუჩნდება საფუძველიანი ვარაუდი, ისეთი საქმიანობის პერიოდში, რომლის გაგრძელებამაც შეიძლება დააზიანოს, გაანადგუროს ან ამის საფრთხე შეუქმნას მას, საქმიანობის მწარმოებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აღნიშნული საქმიანობა და კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის ან აღმოჩენის ან ამის შესახებ საფუძველიანი ვარაუდის არსებობისა და საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე წერილობით აცნობოს სამინისტროს არა უგვიანეს 7 დღისა.

2. სამინისტრო ვალდებულია ინფორმაციის მიღებიდან არა უგვიანეს 2 კვირისა გადაამოწმოს კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის (აღმოჩენის) ფაქტი და შედეგის შესახებ წერილობით აცნობოს დაინტერესებულ პირს. სამინისტროს მიერ აღნიშნული ვადის გაშვების შემთხვევაში პირი უფლებამოსილია განაგრძოს შეწყვეტილი საქმიანობა.



3. სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში მინისტრი ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს გამოვლენილი (აღმოჩენილი) კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო აღრიცხვას, რის შესახებაც სამინისტრო დაუყოვნებლივ აცნობებს დაინტერესებულ პირს, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

4. თუ კულტურული მემკვიდრეობა გამოვლინდება არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა აითვლება შესაბამისი ნებართვით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულებიდან.

5. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში აღრიცხულ და დაცულ კულტურულ მემკვიდრეობაზე ვრცელდება ამ კანონის 22-ე, 23-ე და 25-ე მუხლებით ძეგლის მიმართ დადგენილი პრინციპები და წესები.

#### **თავი IV. არქეოლოგიური სამუშაოების სახეები და პირობები**

##### **მუხლი 11. არქეოლოგიური სამუშაოების სახეები**

არქეოლოგიურ ობიექტზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ამ კანონით განსაზღვრული არქეოლოგიური ან ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები. არქეოლოგიური სამუშაოების სახეებია:

ა) სავლე არქეოლოგიური სამუშაოები – არქეოლოგიური ობიექტის ძიება, დაზვერვითი თხრილების მოწყობა, გათხრა, ფიქსაცია, პირველადი საიდენტიფიკაციო ექსპერტიზა და კონსერვაცია;

ბ) ლაბორატორიული არქეოლოგიური სამუშაოები – არქეოლოგიური მონაპოვრის მეცნიერული აღწერა, რესტავრაცია, კონსერვაცია, ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, მულტიდისციპლინური კვლევა, ისტორიული ინტერპრეტაცია და გამოსაცემად მომზადება.

##### **მუხლი 12. არქეოლოგიური გათხრების ჩატარების პირობა**

1. არქეოლოგიური მემკვიდრეობის ადგილზე შენარჩუნებისა და მისი მომავალი თაობების მიერ უკეთესი ტექნოლოგიებით შესწავლის მიზნით არქეოლოგიური ობიექტის გათხრა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სამეცნიერო საკითხების გადასაჭრელად ან თუ არქეოლოგიურ მემკვიდრეობას სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სხვა სახის საქმიანობით ან ბუნებრივი პროცესების შედეგად დაზიანება ან განადგურება ემუქრება.

2. არქეოლოგიურ სამუშაოთა დასრულების შემდეგ დაუშვებელია განათხარი არქეოლოგიური ობიექტისა და არქეოლოგიური მონაპოვრის მიტოვება კონსერვაციის ან რეკულტივაციის გარეშე, ხოლო სამუშაოთა მიმდინარეობისას გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტები და არქეოლოგიური მასალა სამუშაოთა მწარმოებელმა (შესაბამისი ნებართვის მფლობელმა) სათანადოდ უნდა დაიცვას დაზიანებისაგან, განადგურებისა და დაკარგვისაგან, ასევე გარემო პირობებისა და სხვა არასასურველი ზემოქმედებისაგან.

3. თუ არქეოლოგიურ სამუშაოთა მიმდინარეობისას გამოვლინდება მაღალი მატერიალური ღირებულების მქონე ნივთი (ნივთები), ამასთანავე, მეთოდოლოგიური, კლიმატური, ტექნიკური ან სხვა პირობების გამო ვერ ხერხდება მისი (მათი) დაუყოვნებლივ ამოღება და უსაფრთხო ადგილას ტრანსპორტირება, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. ეს ორგანო პასუხისმგებელია ამ ნივთის (ნივთების) დაცვაზე, მის (მათ) უსაფრთხო ადგილას ტრანსპორტირებამდე.

4. მოძრავი არქეოლოგიური მონაპოვარი, როგორც წესი, უნდა ინახებოდეს უახლოეს მუზეუმ-ნაკრძალში, მუზეუმში ან სხვა შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებაში.

##### **მუხლი 13. უძრავი არქეოლოგიური ობიექტის აღება (დაშლა)**

უძრავი არქეოლოგიური ობიექტის აღება (დაშლა) დასაშვებია მხოლოდ სამინისტროსთან შეთანხმებით, იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი გათხრილი და სრულად შესწავლილია და არ არსებობს საკმარისი საფუძველი მისთვის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად.

##### **მუხლი 14. მსხვილმასშტაბიანი მიწის სამუშაოების განხორციელების აუცილებელი პირობები**

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კარიერის დამუშავებაზე და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო სამინისტროს დადებითი დასკვნის საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სამინისტროს დასკვნის საფუძველია შესაბამისი ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს მიწის სამუშაოების განხორციელებით დაინტერესებული პირი.

3. მიწის სამუშაოების განხორციელებით დაინტერესებული პირი ვალდებულია სამინისტროს წარუდგინოს დოკუმენტაცია ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევის შესახებ. კვლევა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

ა) ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და საარქივო კვლევა – სამუზეუმო და საარქივო (ისტორიული რუკები და გენერალური გეგმები, ისტორიული საკადასტრო და ნაგებობების გეგმები) მასალების მოძიება და ანალიზი, ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული კვლევა შესაბამისი წყაროების მითითებით, არქივებში დაცული საკვლევი





ტერიტორიის ფოტომასალის, კოსმოსური და აეროფოტომასალების მოძიება, დეშიფრირება, მათი არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაციის მასალების და მათი საარქივო მონაცემებთან მიმართების ანალიზი;

ბ) საველე-საკვლევ და წინასწარი კამერალური სამუშაოები: დაზვერვითი შურფების განლაგების სქემა და გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:25, 1:20), სტრატეგრაფიის ჩვენებით.

4. საკვლევ ტერიტორიაზე არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენის შემთხვევაში არქეოლოგიური კვლევის დასკვნითი ნაწილი უნდა მოიცავდეს:

ა) საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური ფენებისა და ობიექტების სრულ საველე შესწავლას თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით, გასათხრელი ფართობის აგეგმვას, არქეოლოგიური კვლევისას გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტების განლაგების სქემას და ცალკეული ობიექტების ანაზომებს, გამოვლენილი ნაგებობებისა და კულტურული ფენების სტრატეგრაფიულ ჭრილებს, საველე არქეოლოგიური კვლევის შედეგების ანგარიშს, გამოვლენილი არქეოლოგიური ფენებისა და ობიექტების რაობის განსაზღვრას და დათარიღებას, მათ ფოტო და გრაფიკულ ფიქსაციას, კვლევის შედეგად მიღებული მასალის ანალიტიკურ დამუშავებას და დასკვნების ჩამოყალიბებას, ტექსტური ნაწილის შედგენას, სათანადო ილუსტრაციების მომზადებას;

ბ) არქეოლოგიური კვლევის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს გამოვლენილი ობიექტების კონსერვაციის საკითხისა და საპროექტო ტერიტორიაზე მშენებლობის გეგმარებითი გადაწყვეტის შესახებ.

## თავი V. კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა, კლასიფიკაცია, მისთვის სტატუსის მინიჭება და მოხსნა

### მუხლი 15. ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება

1. ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველია მისი ისტორიული ან კულტურული ღირებულება, დაკავშირებული მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტიკურობასთან.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ძეგლის სტატუსი ასევე შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურად, ფუნქციურად, ისტორიულად ან ტერიტორიულად დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ერთობლიობას, რომელიც ტოპოგრაფიულად იდენტიფიცირებადი ერთეულია. ამ შემთხვევაში მის უძრავ და მოძრავ ნაწილებზე ვრცელდება ამ კანონით უძრავი და მოძრავი ძეგლების მიმართ დადგენილი შესაბამისი წესები.

3. ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ენიჭება საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე – საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით.

4. თუ ვერ ხერხდება ობიექტის რაობის სრულყოფილი განსაზღვრა, ასევე როდესაც მის ისტორიულ ან კულტურულ ღირებულებასთან დაკავშირებული მონაცემები გადამოწმებას ან დამატებით შესწავლას საჭიროებს, მინისტრი უფლებამოსილია მაინც შეიტანოს ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში. ამ მომენტიდან მასზე ვრცელდება ამ კანონის VI და IX თავებით ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი.

5. ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეიძლება შეტანილ იქნეს 6 თვის ვადით. ამ ვადის გაგრძელება შეიძლება მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს 6 თვისა.

6. სამინისტრო კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანილი ობიექტისათვის მისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, მისი სახეობის, მნიშვნელობის, მდგომარეობის, ისტორიული ან კულტურული ღირებულებისა და კატეგორიის განსაზღვრისათვის შესაბამისი დასკვნის მიღების მიზნით, ობიექტის თაობაზე მონაცემებს წარუდგენს საბჭოს.

7. თუ სათანადო კვლევების შედეგად დადგინდება, რომ არ არსებობს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანილი ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების ამ კანონით განსაზღვრული საფუძვლები, საბჭოს დასკვნის საფუძველზე მინისტრი უფლებამოსილია ამორიცხოს ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიიდან ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი ვადის გასვლამდე.

8. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ობიექტის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანის ან სიიდან ამორიცხვის შესახებ, აგრეთვე ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების ან მოხსნის შესახებ ძალაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნების მომენტიდან.

9. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების ან მოხსნის შესახებ მონაცემები შესაბამისი სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში აისახება ძეგლების სახელმწიფო რეესტრში და სამინისტროს ინტერნეტგვერდზე.

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი №528 – სსმ I, №34, 04.12.2008 წ., მუხ.212

საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.

### მუხლი 16. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სახელმწიფო აღრიცხვა და სააღრიცხვო დოკუმენტაცია



1. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ობიექტების აღრიცხვისა და იდენტიფიკაციის მიზნით იქმნება ძეგლების სახელმწიფო რეესტრი, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სია, სააღრიცხვო ბარათი და ძეგლის პასპორტი. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღრიცხვისა და იდენტიფიკაციის მიზნით იქმნება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სია და სახელმწიფო რეესტრი.

2. ძეგლების სახელმწიფო რეესტრსა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიას აწარმოებს სამინისტრო.

3. სააღრიცხვო ბარათი არის ძეგლის ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანილი ობიექტის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი ზოგადი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი.

4. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ძეგლების სახელმწიფო რეესტრში შეტანის შემდეგ სამინისტრო უფლებამოსილია შეადგინოს ძეგლის პასპორტი. ძეგლის პასპორტი არის მინისტრის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ძეგლთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევით ინფორმაციას.

5. ახალი ცნობების მოკვლევის ან გარემოებათა ცვლილების შემთხვევაში სააღრიცხვო დოკუმენტაცია განახლდება.

6. სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმები და მათი შევსების წესი განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით.

*საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი №528 - სსმ I, №34, 04.12.2008 წ., მუხ.212*

*საქართველოს 2010 წლის 26 ოქტომბრის კანონი №3740 - სსმ I, №62, 05.11.2010 წ., მუხ.380*

### **მუხლი 17. ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა**

ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე – საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით იმ შემთხვევაში, თუ ძეგლი განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ დაკარგა ისტორიული ან კულტურული ღირებულება, რომლის აღდგენა შეუძლებელია, ან, მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით, დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი.

*საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი №528 - სსმ I, №34, 04.12.2008 წ., მუხ.212*

*საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.*

### **მუხლი 18. ძეგლის კატეგორია**

1. ძეგლს სამინისტროს მიმართვის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიძლება განესაზღვროს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია, თუ მას აქვს გამორჩეული მხატვრული ან ესთეტიკური ღირებულება ან თუ იგი დაკავშირებულია უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენასთან, პიროვნებასთან, ერის განვითარების ეტაპთან და გამორჩეულ ზოგად ეროვნულ ღირებულებებთან.

2. ეროვნული მნიშვნელობის უძრავ ძეგლს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად მინისტრის მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი.

### **მუხლი 19. ძეგლის კლასიფიკაცია**

1. ძეგლის კლასიფიკაცია სახეობებად ხდება მისი ტიპოლოგიის, ისტორიული, კულტურული, მხატვრული, ესთეტიკური, მემორიალური, სულიერი, მეცნიერული და სხვა ღირებულებების მიხედვით.

2. ძეგლის სახეობებია:

ა) არქეოლოგიური;

ბ) არქიტექტურის;

გ) საინჟინრო;

დ) ქალაქთმშენებლობის (ურბანული);

ე) საბაღე-საპარკო ხელოვნებისა და ლანდშაფტური არქიტექტურის;

ვ) პალეოგრაფიული;

ზ) მონუმენტური სახვითი ხელოვნების;

თ) მემორიალური;

ი) ეთნოგრაფიული;

კ) სახვითი ხელოვნების;

ლ) დოკუმენტური;

მ) მეცნიერების, ტექნიკის ან მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული.

3. ძეგლის სახეობა განისაზღვრება შესაბამის დარგში შემუშავებული მეცნიერული კრიტერიუმებით.

### **მუხლი 20. უძრავი ძეგლის აღნიშვნა**

უძრავი ძეგლი აღინიშნება საანოტაციო დაფით, რომლის ფორმა და გამოყენების წესი დგინდება მინისტრის ბრძანებით.

### **მუხლი 21. უძრავ ძეგლთა გათვალისწინება მიწის კადასტრსა და ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციაში**





უძრავი ძეგლებისა და მათი ტერიტორიების გათვალისწინება მიწის კადასტრსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციაში სავალდებულოა.

## თავი V<sup>1</sup>. (ამოღებულია)

საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.

### მუხლი 21<sup>1</sup>. (ამოღებულია)

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი №528 - სსმ I, №34, 04.12.2008 წ., მუხ.212  
საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.

### მუხლი 21<sup>2</sup>. (ამოღებულია)

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი №528 - სსმ I, №34, 04.12.2008 წ., მუხ.212  
საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.

### მუხლი 21<sup>3</sup>. (ამოღებულია)

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი №528 - სსმ I, №34, 04.12.2008 წ., მუხ.212  
საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.

### მუხლი 21<sup>4</sup>. (ამოღებულია)

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი №528 - სსმ I, №34, 04.12.2008 წ., მუხ.212  
საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.

### მუხლი 21<sup>5</sup>. (ამოღებულია)

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი №528 - სსმ I, №34, 04.12.2008 წ., მუხ.212  
საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.

### მუხლი 21<sup>6</sup>. (ამოღებულია)

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი №528 - სსმ I, №34, 04.12.2008 წ., მუხ.212  
საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.

## თავი VI. ძეგლის დაცვა

### მუხლი 22. ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპი

ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპია მისთვის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, უძრავი ძეგლის შემთხვევაში – ასევე იმ გარემოს შენარჩუნება, რომლებიც (რომელიც) განაპირობებს მის ისტორიულ, კულტურულ, მემორიალურ, ეთნოლოგიურ, მხატვრულ, ესთეტიკურ, მეცნიერულ ან სხვა ღირებულებას.

### მუხლი 23. ძეგლის დასაშვები გამოყენება

დასაშვებია ძეგლის მხოლოდ იმგვარი გამოყენება, რომელიც არ აზიანებს ან ამის საფრთხეს არ უქმნის მას, არ ამცირებს მის კულტურულ ან ისტორიულ ღირებულებას, არ იწვევს მისი ავთენტიკური ელემენტების ცვლილებებს, არ აუარესებს მის აღქმას.

### მუხლი 24. ძეგლზე თვითნებური სამუშაოების ჩატარების აკრძალვა

აკრძალულია ძეგლზე რაიმე სამუშაოების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი შესაბამისი ნებართვის გარეშე.

### მუხლი 25. ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების ტიპები და სახეები

1. ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები იყოფა შემდეგ ტიპებად:

ა) კვლევითი სამუშაოები – სამეცნიერო-სამიეზო და პრაქტიკული სამუშაოები, რომელთა მიზანია ძეგლთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, მათ შორის, მისი მდგომარეობის, დაზიანებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა, სარეაბილიტაციო ღონისძიებათა შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;

ბ) სარეაბილიტაციო სამუშაოები – ძეგლის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული, საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი წესით ჩატარებული სამუშაოების ერთობლიობა.

2. უძრავ ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები:

- ა) დაზვერვა;
- ბ) გაწმენდა;
- გ) კონსერვაცია;
- დ) რესტავრაცია;
- ე) რეკონსტრუქცია;



ვ) ადაპტაცია;

ზ) უძრავი ძეგლის ცვლილება.

3. მოძრავ ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები:

ა) დაზვერვა;

ბ) გაწმენდა;

გ) კონსერვაცია;

დ) რესტავრაცია.

4. არქეოლოგიურ ძეგლზე ან სხვა სახეობის ძეგლის განამარხებულ ფრაგმენტზე კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით ასევე შეიძლება ჩატარდეს არქეოლოგიური სამუშაოები.

5. არქეოლოგიურ ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოების ფარგლებში ასევე შეიძლება ჩატარდეს ამ კანონით ძეგლის მიმართ განსაზღვრული საკონსერვაციო, გაწმენდითი და სარესტავრაციო სამუშაოები.

6. ძეგლის დაკარგული ფორმების, ფრაგმენტებისა და ელემენტების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ძეგლის რესტავრაციის ან რეკონსტრუქციის ფარგლებში, აღსადგენი ფორმების, ფრაგმენტებისა და ელემენტების სრული იდენტიფიკაციის შემთხვევაში, ზუსტ მეცნიერულ მონაცემებზე დამყარებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე. დაუშვებელია დოკუმენტური მასალისა და სამეცნიერო კვლევის უფლებელყოფა.

7. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანილ ობიექტზე, მასზე ექსპერტიზის სრულყოფილად ჩატარების, ასევე ობიექტის ჯერ კიდევ გამოუვლენელი, ისტორიული ან კულტურული ღირებულების მქონე ელემენტების შესაძლო დაზიანების ან განადგურების თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია მხოლოდ დაზვერვითი, გაწმენდითი, არქეოლოგიური და პრევენციული კონსერვაციის სამუშაოების ჩატარება.

8. ძეგლზე სამუშაოების ჩატარების მეთოდოლოგია და წესი დგინდება მინისტრის ნორმატიული აქტით.

*საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი №528 - სსმ I, №34, 04.12.2008 წ., მუხ.212*

## **მუხლი 26. ძეგლის დაშლა, გადაკეთება, გადაადგილება, დანაწევრება**

1. უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა.

2. უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთება დასაშვებია მხოლოდ ძეგლის ადაპტაციის ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ეს არ გამოიწვევს ძეგლის დაზიანებას ან მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულების შემცირებას.

3. უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად არსებობს ძეგლის გამოუსწორებელი დაზიანების ან განადგურების საფრთხე;

ბ) არსებობს მისი გადაადგილების მომეტებული საჯარო ინტერესი, გარდა ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებისა.

4. უძრავი ძეგლის გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ თავდაპირველ გარემოსთან შეძლებისდაგვარად მიმსგავსებულ გარემოში, ავთენტიკური მასალის გამოყენებით მისი რეკონსტრუქციის გზით, თავდაპირველი სახით აღდგენის პირობით.

5. უძრავი ძეგლი გადაადგილებისას და მის შემდეგ ინარჩუნებს ძეგლის სტატუსს.

6. აკრძალულია მოძრავი ძეგლის გადაკეთება ან დანაწევრება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია ძეგლის შენარჩუნებისათვის ან რეაბილიტაციისათვის.

7. (ამოღებულია - 06.09.2013, №1075).

*საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი №528 - სსმ I, №34, 04.12.2008 წ., მუხ.212*

*საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 - ვებგვერდი, 25.09.2013წ.*

## **მუხლი 27. კომპლექსური ძეგლის კონსერვაციის გეგმა**

1. კომპლექსური ძეგლის დაცვის, მასზე სარეაბილიტაციო სამუშაოთა რეგულირების, ძეგლის გამოყენებისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით სამინისტრო უფლებამოსილია შეიმუშაოს კომპლექსური ძეგლის კონსერვაციის გეგმა (შემდგომში – კონსერვაციის გეგმა), რომელიც ძეგლის რეაბილიტაციისა და განვითარების ერთიანი სახელმძღვანელო დოკუმენტია.

2. კონსერვაციის გეგმა არის მინისტრის ნორმატიული აქტი, რომელიც მოიცავს ძეგლზე ჩასატარებელ სამუშაოთა სამეცნიერო-მეთოდურ და პრაქტიკულ მითითებებს, განსაზღვრავს კომპლექსური ძეგლის შემადგენელ ყოველ ობიექტზე დასაშვებ ან რეკომენდებულ სამუშაოთა ნუსხას და ფარგლებს, მათი ჩატარების თანმიმდევრობის მითითებით, ადგენს ძეგლის კვლევის, რეაბილიტაციისა და განვითარების ძირითად რეგლამენტს, მისი მოვლა-პატრონობისა და გამოყენების ინდივიდუალურ წესებს.

3. კონსერვაციის გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინება სავალდებულოა ძეგლთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მიღებისას.

## **მუხლი 28. ძეგლის მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) უფლება-მოვალეობანი**



1. ძეგლის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) ვალდებულია:

ა) სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, შეტყობინების მიღებიდან 1 თვის ვადაში წარუდგინოს სამინისტროს ინფორმაცია ძეგლის არსებული მდგომარეობის შესახებ და გააფორმოს სამინისტროსთან ძეგლის მოვლა-პატრონობის ხელშეკრულება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ძეგლის დაზიანებისა და განადგურებისაგან დაცვა და ძეგლის ისტორიულ-კულტურული ღირებულების შენარჩუნება;

ბ) დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ძეგლის მდგომარეობის, მისი შენახვის პირობების ან გარემოს ცვლილებების შესახებ;

გ) ხელი შეუწყოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს და სპეციალისტებს ძეგლის დათვალიერებასა და მისი მდგომარეობის შესწავლაში, მათი მოთხოვნისამებრ მიაწოდოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია ძეგლის შესახებ, თუ ის არ არის სახელმწიფო, კომერციული ან კანონით დადგენილი სხვა საიდუმლოება;

დ) არ დაუშვას ძეგლზე რაიმე სახის თვითნებური ზემოქმედება, მათ შორის, ძეგლის ნაწილების ან ფრაგმენტების გადაკეთება, დანაწევრება, დაშლა, დამატება;

ე) ძეგლის გასხვისების შემთხვევაში წინასწარ აცნობოს სამინისტროს, ხოლო ძეგლის შემძენს წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია ძეგლის სტატუსის შესახებ;

ვ) უზრუნველყოს ძეგლზე საზოგადოების დაშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ზ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოვალეობები.

<sup>1</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ძეგლის მესაკუთრე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს სამინისტროსთან მიმართები თ ასრულებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს წინაშე.

2. ძეგლის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) უფლებამოსილია:

ა) გამოიყენოს ძეგლი ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიიღოს შემოსავალი;

ბ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო და სხვა შეღავათებით;

გ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო ორგანოებისაგან ანაზღაურების გარეშე მოითხოვოს სამეცნიერო-მეთოდური და სამართლებრივი კონსულტაცია თავის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული ძეგლის შესახებ.

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი №528 - სსმ I, №34, 04.12.2008 წ., მუხ.212

საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5554 - ვებგვერდი, 28.12.2011წ.

საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 - ვებგვერდი, 25.09.2013წ.

## **მუხლი 29. ძეგლის (ობიექტის) შესწავლა-დათვალიერების წესი და მისი მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) თანხმობის გარეშე განხორციელების პირობები**

1. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დგინდება მომეტებული საჯარო ინტერესების მქონე ძეგლთა ნუსხა და მათზე მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) მიერ საზოგადოების დაშვების წესი. „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების“ მე-7, მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ ძეგლებზე საზოგადოების დაშვების წესი დგინდება მესაკუთრესთან (კანონიერი მოსარგებლესთან) წინასწარი შეთანხმებით; უთანხმოების შემთხვევაში რელიგიურ უფლებებს აქვს უპირატესობა ძეგლებზე საზოგადოების დაშვების უფლებასთან შედარებით.

2. თუ არსებობს ძეგლის (ობიექტის) მდგომარეობის შემოწმების დასაბუთებული აუცილებლობა ან დასაბუთებული ვარაუდი, რომ რომელიმე ობიექტი განეკუთვნება კულტურულ მემკვიდრეობას, ხოლო ძეგლის (ობიექტის) მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) ხელს უშლის კომპეტენტურ ორგანოებს სათანადო საექსპერტო და კვლევითი სამუშაოების განხორციელებაში, ასევე, როდესაც ძეგლის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) არღვევს ძეგლის (ობიექტის) დათვალიერებისა და მასზე საზოგადოების დაშვების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო ორგანოს შესასწავლ ძეგლზე (ობიექტზე) დაშვება მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) თანხმობის გარეშე შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. პასუხისმგებლობა ძეგლის დათვალიერებისა და მასზე საზოგადოების დაშვების წესების დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი №528 - სსმ I, №34, 04.12.2008 წ., მუხ.212

საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 - ვებგვერდი, 25.09.2013წ.

## **მუხლი 30. ძეგლის მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) პასუხისმგებლობა**

1. ძეგლის მესაკუთრეს (კანონიერი მოსარგებლეს) სამინისტრო აძლევს წერილობით გაფრთხილებას, რომლითაც განუსაზღვრავს ძეგლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით მისაღებ ზომებს, კონკრეტული მოქმედებების განხორციელების პირობებს და მათი უზრუნველყოფის გონივრულ ვადას, თუ ძეგლის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე):

ა) არღვევს სამინისტროსთან გაფორმებული ძეგლის მოვლა-პატრონობის ხელშეკრულების პირობებს;



ბ) არღვევს სამინისტროს მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის პირობებს ან ამ კანონით გათვალისწინებული ნებართვის გარეშე ატარებს ძეგლზე რაიმე სამუშაოებს.

2. ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელ სახლში ბინისა და არასაცხოვრებელი ფართობის მესაკუთრეთა (კანონიერ მოსარგებლეთა) ერთობლიობა განიხილება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობად. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გაფრთხილება ეძლევა და მისი შეუსრულებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის ამხანაგობას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გაფრთხილებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ გაფრთხილებაში მითითებული პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში დამრღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება ჯარიმა.

4. დაჯარიმებიდან 6 თვის ვადაში ძეგლის მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) მიერ გაფრთხილებაში მითითებული პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მესაკუთრეს (კანონიერ მოსარგებლეს) ყოველ ექვს თვეში ეკისრება წინა ჯარიმით განსაზღვრული თანხის სამმაგი ოდენობა.

5. თუ ძეგლის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) ვერ უზრუნველყოფს სამინისტროს მიერ დადგენილი პირობების შესრულებას, ხოლო ძეგლის ინტერესები გადაუდებელ ჩარევას მოითხოვს, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ძეგლის მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) დადგენა ან მიგნება ვერ ხერხდება, სამინისტრო უფლებამოსილია, მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) თანხმობის გარეშე, უშუალოდ ან მესამე პირთა მეშვეობით ჩაატაროს ძეგლზე გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ პუნქტით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას სამუშაოების ძეგლის მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) თანხმობის გარეშე ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სასამართლო.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებისას სამინისტროს სახელმწიფო ორგანოების ან მათ მიერ განსაზღვრული სამუშაოების შემსრულებელი პირის მიერ ძეგლის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გაწეულ იმ ხარჯებს, რომლებიც გამოწვეულია სამინისტროსთან გაფორმებული ძეგლის მოვლა-პატრონობის ხელშეკრულების პირობების დარღვევით, ანაზღაურებს ძეგლის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე).

7. თუ ძეგლის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) ვერ უზრუნველყოფს სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გაწეული ხარჯების ნებაყოფლობით ანაზღაურებას, სამინისტრო უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ხარჯების ძეგლის მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) მიერ ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს.

8. ეს მუხლი და ამ კანონის 32-ე მუხლი არ ვრცელდება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ და სხვა რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ ობიექტებზე.

9. ამ მუხლით განსაზღვრულ სამინისტროს უფლებამოსილებებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.

*საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი №528 - სსმ I, №34, 04.12.2008 წ., მუხ.212*

*საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5554 - ვებგვერდი, 28.12.2011წ.*

### **მუხლი 31. პასუხისმგებლობა ძეგლის დაზიანებისა და განადგურებისათვის**

ძეგლზე განზრახ იმგვარი ზემოქმედების მოხდენა, რის გამოც ძეგლს ემუქრება გამოუსწორებელი დაზიანება ან განადგურება, გამოიწვევს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **თავი VII. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე საკუთრების უფლება**

### **მუხლი 32. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის გასხვისება ან სარგებლობაში გადაცემა ფლობისა და სარგებლობის უფლებით**

1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ძეგლის, კულტურული ფასეულობის, არქეოლოგიური დაცვის ზონაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისება, ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემა ხორციელდება სამინისტროსთან შეთანხმებით, მის მიერ წინასწარ განსაზღვრული მათი მოვლა-პატრონობის პირობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. აკრძალულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის გასხვისება. ამ ძეგლის სარგებლობაში გადაცემა დასაშვებია მხოლოდ ფლობისა და სარგებლობის უფლებით, მისი მოვლა-პატრონობისა და დაცვის პირობით.

3. აკრძალულია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტის (მოძრავი ძეგლის) გასხვისება.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესისგან გამონაკლისია საბინაო ფონდი, ასევე საცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში არსებული არასაბინაო ფართობები.



### **მუხლი 33. მოძრავ არქეოლოგიურ ობიექტებზე საკუთრების უფლების წარმოშობა**

1. არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის საფუძველზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებისას, ასევე უნებართვოდ ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოებისას აღმოჩენილი მოძრავი არქეოლოგიური ობიექტი სახელმწიფოს საკუთრებაა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სხვა სახის საქმიანობის შედეგად აღმოჩენილ არქეოლოგიურ ობიექტებზე (შემთხვევით აღმოჩენა) საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

3. შემთხვევით აღმოჩენის შემთხვევაში აღმოჩენი ვალდებულია, დაუყოვნებლივ, ამ კანონის III თავით დადგენილი წესით აცნობოს სამინისტროს.

4. სახელმწიფოს აქვს არქეოლოგიური ობიექტის უპირატესი შესყიდვის უფლება.

## **თავი VIII. კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები და მათი რეჟიმები**

### **მუხლი 34. კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სტრუქტურა და დადგენის წესები**

1. კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სტრუქტურა შედგება ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონისა და ზოგადი დამცავი ზონებისაგან.

2. ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონა შედგება შემდეგი არეალებისაგან:

ა) ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი;

ბ) ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი.

3. ზოგადი დამცავი ზონებია:

ა) ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა;

ბ) განაშენიანების რეგულირების ზონა;

გ) ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა;

დ) არქეოლოგიური დაცვის ზონა.

4. ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონა დგინდება ავტომატურად, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების მომენტიდან. დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონა ან მისი შემადგენელი არეალი შეიძლება გაფართოვდეს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ხოლო ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე – სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე. „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრული ნაგებობის შემთხვევაში მინისტრის ბრძანება ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონის ან მისი შემადგენელი არეალის გაფართოების შესახებ უნდა შეთანხმდეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან.

5. ზოგადი დამცავი ზონები დგინდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით, მინისტრის წარდგინების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის განკარგულებით.

6. საქართველოს მთავრობის განკარგულება ზოგადი დამცავი ზონის დადგენის თაობაზე, ასევე მინისტრის ბრძანება ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონის დადგენის ან გაფართოების შესახებ ქვეყნდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

7. ერთი ტერიტორია შეიძლება მოექცეს რამდენიმე დამცავი ზონის ფარგლებში, რომელთაგან ზოგადი დამცავი ზონა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი.

8. თუ ერთი ტერიტორია რამდენიმე დამცავი ზონის ფარგლებში მოექცევა, დამცავი ზონების რეჟიმებიდან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოქმედებს ამკრძალავი ნორმა.

9. დამცავი ზონების შემუშავების მეთოდოლოგია, შესაბამისი გრაფიკული და ტექსტური მასალების შედგენის წესები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

*საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი № 528 - სსმ I, № 34, 04. 1 2.200 8 წ., მუხ.2 12*

*საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.*

### **მუხლი 35. დამცავი ზონების დადგენის მიზნები და ამოცანები**

1. დამცავი ზონის დადგენის მიზნებია: მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის, ძეგლების, კულტურული ღირებულების მქონე ურბანული ქსოვილისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების, ისტორიული განაშენიანების, ქუჩათა ქსელის, გეგმარებითი სტრუქტურის, ისტორიული ლანდშაფტის, არქეოლოგიური ობიექტების არასასურველი ზემოქმედებისაგან დაცვა; მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ბუნებრივი, ისტორიული, ესთეტიკური, ეკოლოგიური გარემოს, მისი ავთენტიკური ელემენტების, ისტორიულად ჩამოყალიბებული ხედებისა და პანორამების, ასევე იმ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კონტექსტის შენარჩუნება, რომელიც ხელს შეუწყობს ძეგლისა და მისი გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას, ძეგლის, როგორც ისტორიის მოწმის, როლის შენარჩუნებას.

2. დამცავ ზონებში განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს ხელსაყრელი გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების შენარჩუნებას, სანიტარიულ-ჰიგიენური, სეისმური და



ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ძველებზე და ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე არასასურველი ზემოქმედების თავიდან აცილებას. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისას დაცული უნდა იქნეს ამ სფეროში საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები და ნორმები.

3. დამცავ ზონებში ძველების აქტიური ვიზუალური აღქმის სივრცეში დაუშვებელია დიდმასშტაბიანი სარეკლამო აზრების, ელექტრო და სატელეფონო ანძების, სატელევიზიო ანტენების და სხვა დიდმასშტაბიანი მიწისზედა საინჟინრო და ტექნოლოგიური მოწყობილობების განთავსება.

4. დამცავ ზონებში აკრძალულია ისეთი საწარმოო, სატრანსპორტო, სასაწყობო მეურნეობისა და სხვა ობიექტების მშენებლობა, რომლებიც ხანძარსაშიშია, წარმოქმნის ძლიერ სატვირთო და სატრანსპორტო ნაკადებს, აჭუჭყიანებს ჰაერისა და წყლის აუზებს.

5. საზოგადოებრივი სივრცის კეთილმოწყობის საშუალებები იმგვარად უნდა დაიგეგმოს, რომ ისინი ჰარმონიულად ერწყმოდეს ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს. ქალაქგეგმარებითი პოლიტიკა და მართვის პრინციპები დამცავ ზონებში მიმართული უნდა იქნეს სატრანსპორტო ნაკადების მიზანდასახული და გეგმაზომიერი შემცირებისაკენ, საფეხმავლო ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ.

6. დამცავ ზონაში არსებული შენობებისა და სხვა არქიტექტურული ობიექტების დაშლა (დემონტაჟი) დასაშვებია მხოლოდ:

- ა) შესაბამისი რეჟიმით დაშვებული მშენებლობისას;
- ბ) ისეთი გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დასტურდება ობიექტის ჩამოშლის საფრთხე;
- გ) თუ დასაშლელ ობიექტს მინიჭებული აქვს შეუსაბამო ობიექტის სტატუსი ან დაშლა (დემონტაჟი) განპირობებულია დამცავი ზონის მიზნებით;
- დ) იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს შესაბამისი ტერიტორიის ურბანული ქსოვილის განვითარების ინტერესები.

7. ცალკეული დამცავი ზონის დადგენის სპეციფიკური მიზნები და ამოცანები განისაზღვრება შესაბამისი დამცავი ზონის რეჟიმით.

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი № 528 - სსმ I, № 34, 04.12.2008 წ., მუხ.2 12

საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.

### **მუხლი 36. ძველის ინდივიდუალური დამცავი ზონის, მისი შემადგენელი არეალებისა და რეჟიმის დადგენა**

1. ძველის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძველის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებისგან და დგინდება ძველის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით.

1<sup>1</sup>. (ამოღებულია - 06.09.2013, №1075).

2. ძველის ფიზიკური დაცვის არეალი არის ტერიტორია უძრავი ძველის გარშემო, სადაც ნებისმიერმა ქმედებამ შესაძლოა ფიზიკურად დააზიანოს ძველი ან მისი მიმდებარე ტერიტორია. ფიზიკური დაცვის არეალი განისაზღვრება შემდეგი მანძილით – ძველის სიმაღლე გამრავლებული 2-ზე, მაგრამ არანაკლებ 50 მეტრის რადიუსით.

3. ფიზიკური დაცვის არეალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძველს ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას, მათ შორის:

- ა) იმგვარი მოქმედებები, რომლებიც გამოიწვევს მიწის მნიშვნელოვან ვიბრაციას ან დეფორმაციას;
- ბ) ქიმიურ, ადვილად აალებად და ფეთქებად ნივთიერებათა შენახვა;
- გ) ისეთი ობიექტების აღმართვა, რომლებიც არ ემსახურება ძველის დაცვას ან მისი გარემოს გაუმჯობესებას;
- დ) მცენარეთა იმ სახეობების ან იმგვარად დარგვა, რომლებმაც ან რამაც შეიძლება დააზიანოს ძველი.

4. ძველის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძველის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძველის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალი განისაზღვრება:

- ა) ძველებისათვის – 300 მეტრის რადიუსით;
- ბ) ეროვნული მნიშვნელობის ძველებისათვის – 500 მეტრის რადიუსით;
- გ) მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძველებისათვის – 1000 მეტრის რადიუსით.

5. თუ ძველი ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობს, ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული შესაბამისი მანძილი მცირდება ორჯერ.

6. ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძველის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძველის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

7. ამ მუხლში მითითებული არეალების განსაზღვრისათვის ძველის სიმაღლედ მიიჩნევა მისი უმაღლესი ნიშნული, ხოლო მანძილი ძველიდან დამცავი არეალის საზღვრამდე აითვლება ძველის გარე კონტურიდან, ძველის ცენტრიდან გავლებული რადიუსის მიმართულებით.

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი № 528 - სსმ I, № 34, 04.12.2008 წ., მუხ.2 12

საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.

### **მუხლი 37. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონისა და რეჟიმის დადგენა**





1. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონად განისაზღვრება ტერიტორია, სადაც გამოვლენილია ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის სხვა უძრავი ობიექტების დიდი კონცენტრაცია, ავთენტიკური სახით შენარჩუნებული ქუჩათა ქსელი, განაშენიანება, გეგმარებითი სტრუქტურა და მორფოლოგია.

2. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის დადგენის მიზანია მასში დაცული ძეგლების ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცით-არქიტექტურული გარემოს, განაშენიანების ტრადიციული ფორმებისა და იერსახის შენარჩუნება, ქალაქის ისტორიული ნაწილის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ორგანიზმის (დაგეგმარების სტრუქტურა, მორფოლოგია, შენობების მასშტაბი, ხასიათი, სილუეტი, იერსახე, ლანდშაფტი და სხვა), დაცვისა და შენარჩუნების უზრუნველყოფა, სარეაბილიტაციო, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა რეგულირება, ქალაქის გარემოს გაჯანსაღება, დეგრადირებული ურბანული ქსოვილის ისტორიულ სახესთან მაქსიმალურად მიახლოება, ისტორიული განაშენიანების ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის რეალიზაცია.

3. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში ქალაქგეგმარებითი და სამშენებლო დოკუმენტაციის შედგენისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ისტორიული გარემოს დაგეგმარების, განაშენიანების, ლანდშაფტის შენარჩუნება, მათი დაკარგული ელემენტების აღდგენის შესაძლებლობა.

4. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში მშენებლობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:  
ა) სამშენებლო ობიექტი ენაცვლება მწვავე ავარიულ მდგომარეობაში მყოფ, ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებას მოკლებულ შენობას, ნაგებობას ან საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელს;

ბ) სამშენებლო საქმიანობამ უნდა გააუმჯობესოს დეგრადირებული ურბანული ქსოვილი (შეავსოს ისტორიულ განაშენიანებაში ნგრევის შედეგად გაჩენილი სიცარიელებები, შეცვალოს ღირებულ შენობებს შორის მოქცეული არაღირებული ნაგებობები, გაათავისუფლოს სივრცე ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში დისონანსის შემტანი ნაგებობებისაგან, თავდაპირველი სახით აღადგინოს მისი ისტორიული გარემო და სხვა).

5. საპროექტო ობიექტის კონფიგურაცია, პროპორციები და გეგმარებითი სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტიპს. შენობა ორგანულად უნდა ერწყმოდეს განაშენიანების ტრადიციულ ფორმებს და გარემოს, არ უნდა უპირისპირდებოდეს ისტორიული განაშენიანების იერსახეს, მორფოლოგიასა და მასშტაბს, ლანდშაფტურ გარემოს.

6. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულმა ორგანომ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასცეს ნებართვა ისეთი ტერიტორიის განაშენიანებაზე, რომელიც ისტორიულად არ ყოფილა განაშენიანებული.

7. იმ ტერიტორიებზე, სადაც მეცნიერული კვლევის საფუძველზე დასტურდება არა უმეტეს 50 წლის წინ მაღალი ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე არქიტექტურული ობიექტის არსებობა, მშენებლობა დასაშვებია მხოლოდ სათანადო კვლევის საფუძველზე დამუშავებული, ამ ობიექტის პროექტთან მაქსიმალურად მიახლოებული პროექტით.

8. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ქუჩათა ქსელის შეცვლა, გაფართოება, ნიშნულების ამაღლება, დაწევა ან სხვა ცვლილება დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი გეგმარებითი და მეცნიერული დასაბუთების საფუძველზე, ისტორიულ იერსახესთან მაქსიმალურად მიახლოებით.

*საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კანონი №4045 - სსმI, №75, 27.12.2010 წ., მუხ. 467*

*საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 - ვებგვერდი, 25.09.2013წ.*

### **მუხლი 38. განაშენიანების რეგულირების ზონისა და რეჟიმის დადგენა**

1. განაშენიანების რეგულირების ზონად განისაზღვრება ტერიტორია, სადაც ავთენტიკური სახით შემორჩენილია ისტორიული განაშენიანების, ქუჩათა ქსელის, გეგმარებითი სტრუქტურის ფრაგმენტები ან/და ცალკეული ძეგლები, კულტურული ღირებულების მქონე სხვა უძრავი ობიექტები, ფონური განაშენიანება. განაშენიანების რეგულირების ზონა შეიძლება ასევე იყოს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი სხვა ზონის ბუფერული ზონა.

2. განაშენიანების რეგულირების ზონის დადგენის მიზანია ისტორიულად ჩამოყალიბებული და ახალი განაშენიანების ჰარმონიულად შერწყმის უზრუნველყოფა.

3. განაშენიანების რეგულირების ზონაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცითი დომინანტების განმტკიცება და აღდგენა გარემოს არქიტექტურულ-სივრცობრივ ორგანიზაციაზე, ძეგლებისათვის და კულტურული ღირებულების მქონე სხვა უძრავი ობიექტებისათვის არქიტექტურული და სივრცითი გარემოს, ისტორიულად ჩამოყალიბებული დაგეგმარების სტრუქტურის ან მისი ფრაგმენტების შენარჩუნება.

4. განაშენიანების რეგულირების ზონაში, ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში დაშვებული მშენებლობების გარდა, ასევე დასაშვებია ისეთი სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ მუხლის და ამ კანონის 35-ე მუხლის მოთხოვნებს.

5. ძეგლთა უკეთ წარმოჩენის, ისტორიულად ჩამოყალიბებული და ახალი განაშენიანების ჰარმონიულად შერწყმის უზრუნველყოფის მიზნით განაშენიანების რეგულირების ზონაში უნდა დადგინდეს აღქმის განსაკუთრებულად ხელსაყრელი წერტილები, შენარჩუნებული უნდა იქნეს პანორამებისა და ცალკეულ ძეგლთა ხილვის შესაძლებლობა ახალ მშენებლობათა რეგლამენტირების და ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში შეუსაბამო ობიექტების აღების გზით.



### **მუხლი 39. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონისა და რეჟიმის დადგენა**

1. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონად განისაზღვრება ისტორიული, კულტურული, ესთეტიკური ღირებულების მქონე ბუნებრივი, სასოფლო ან ურბანული ტერიტორია, რომლის ჩამოყალიბება ისტორიული განვითარების მანძილზე მთლიანად ან ნაწილობრივ ადამიანის საქმიანობის შედეგია ან რომელიც ცალკეული ძეგლების ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი გარემოა.

2. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონის დადგენის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტებისა და კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების, ასევე ისტორიულ მოვლენებთან, გადმოცემებთან და ფოლკლორთან დაკავშირებული ადგილების ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება და მისი იერსახის აღდგენა.

3. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში აუცილებელია: ბუნებრივი რელიეფისა და წყალსატევების შენარჩუნება, ლანდშაფტის განთავისუფლება კულტურულ ღირებულებას მოკლებული, დისონანსის შემტანი შენობა-ნაგებობებისა და ნარგავებისაგან, მცენარეული საფარის დაცვა-რეგულირება, ტყისა და მწვანე საფარის ბუნებრივი აღდგენის უზრუნველყოფა, მდელოებისა და სხვა ტერიტორიების დაცვა დამეწყვისა და წალეკვისაგან.

4. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში დაშვებულია მხოლოდ:

ა) შემდეგი სამშენებლო სამუშაოები:

ა.ა) კულტურული ან ისტორიული ღირებულების მქონე შენობა-ნაგებობების კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ა.ბ) დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებულ მიზნებთან და ამოცანებთან ფუნქციურად დაკავშირებული ნაგებობების, საზოგადოებრივ ინტერესებთან დაკავშირებული დროებითი ნაგებობების ან სახელმწიფოებრივი ინტერესით განპირობებული იმგვარი ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობა, რომლებიც მნიშვნელოვნად არ უცვლის სახეს ისტორიულ რელიეფსა და ლანდშაფტს, არ აუარესებს ზონაში დაცული და ვიზუალური დაცვის არეალებში განლაგებული კულტურული მემკვიდრეობის აღქმას;

ბ) ისეთი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებულ მიზნებსა და ამოცანებს.

### **მუხლი 40. არქეოლოგიური დაცვის ზონა და რეჟიმის დადგენა**

1. არქეოლოგიური დაცვის ზონად განისაზღვრება ტერიტორია, სადაც გამოვლენილი, დაფიქსირებული ან დაზვერილია კულტურული ფენები ან/და არქეოლოგიური ობიექტები.

2. არქეოლოგიური დაცვის ზონის დადგენის მიზანია მასში არსებული არქეოლოგიური ძეგლების, კულტურული ფენების, გამოვლენილი ან დაზვერილი არქეოლოგიური ობიექტებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების დაცვის უზრუნველყოფა.

3. არქეოლოგიური დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს ზონაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებას, განადგურებას, მისი აღქმის გაუარესებას ან ხელს შეუშლის მასზე სრულფასოვანი მეცნიერული კვლევის ჩატარებას, მათ შორის:

ა) მიწის სამუშაოები, გარდა სასოფლო-სამეურნეო და არქეოლოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებული მიწის სამუშაოებისა;

ბ) ნებისმიერი სახის სამშენებლო, საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სამეურნეო ნარჩენების, ასევე არქეოლოგიური გათხრების დროს დაგროვილი ფუჭი ქანების დაყრა.

4. თუ დადგინდება, რომ არქეოლოგიური დაცვის ზონაში ზოგიერთი სახის საქმიანობა, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა, გარკვეული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ან საფეხმავლო მიმოსვლა დაზიანების ან განადგურების საფრთხეს შეუქმნის არქეოლოგიურ ობიექტებს ან კულტურულ ფენებს, სამინისტროს წარდგინებით საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ზონის ფარგლებში შეზღუდოს ან აკრძალოს ამგვარი საქმიანობა. ამ შემთხვევაში ზონის ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფა, სატრანსპორტო მიმოსვლის შეზღუდვის ან აკრძალვის შემთხვევაში – ასევე შესაბამისი ნიშანი, რომლებზედაც მიეთითება ზონის ფარგლებში საქმიანობის შეზღუდვის ან აკრძალვის შესახებ.

### **მუხლი 41. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შეთანხმებ და სამშენებლო საქმიანობის განხორციელების წესი**

1. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციას ამტკიცებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში სამშენებლო და სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვას გასცემს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. (ამოღებულია).

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი № 528 - სსმ I, № 34, 04. 1 2.200 8 წ., მუხ.2 12

საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.



**მუხლი 42. ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებში განაშენიანების დაგეგმვა, ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა, განაშენიანების რეგულირების გეგმა**

1. ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებში განაშენიანების რეგულირების გეგმას სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ორგანო.

2. ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებში განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების საფუძველია ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა, რომლის პრინციპებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შედგენისას.

3. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა არის მრავალდისციპლინური მიდგომის საფუძველზე შემუშავებული სპეციალური კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და მათში არსებული ძეგლების, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს ამსახველ ინფორმაციულ და ანალიტიკურ მასალას და შეიცავს რეკომენდაციებს მათი დაცვისათვის აუცილებელი ქალაქთმშენებლობითი და გეგმარებითი რეგლამენტაციის შესახებ.

4. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა შედგება საინფორმაციო, ანალიტიკური და დასკვნითი ნაწილებისაგან.

5. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის საინფორმაციო ნაწილი არის დაფარვითი ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული კომპლექსური საინფორმაციო ბაზა ტერიტორიის არსებული მდგომარეობის შესახებ და შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) მითითება შესაბამის დამცავ ზონაზე (ზონებზე);
- ბ) ტერიტორიის სიტუაციური გეგმა;
- გ) ტერიტორიის საზღვრების გეგმა კოორდინატების მითითებით;
- დ) ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა;
- ე) საარქივო-ბიბლიოგრაფიული მასალა;
- ვ) უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათით გათვალისწინებული ინფორმაცია ტერიტორიაზე არსებული ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტების შესახებ, ასევე ძირითადი მონაცემები ტერიტორიაზე არსებული ყველა სხვა შენობა-ნაგებობის თაობაზე;
- ზ) შემდეგი ინფორმაციის შემცველი თემატური რუკები და სხვა გრაფიკული მასალა:
  - ზ.ა) ტერიტორიაზე არსებული ძეგლები და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტები;
  - ზ.ბ) ფონური განაშენიანება და შეუსაბამო ობიექტები;
  - ზ.გ) განაშენიანების მორფოლოგია და გეგმარებითი სტრუქტურა;
  - ზ.დ) შენობა-ნაგებობების ფუნქციური დანიშნულება;
  - ზ.ე) შენობა-ნაგებობების სართულიანობა;
  - ზ.ვ) შენობა-ნაგებობების ფიზიკური მდგომარეობა;
  - ზ.ზ) შენობა-ნაგებობების ასაკი;
  - ზ.თ) შენობა-ნაგებობების არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულება;
  - ზ.ი) ტერიტორიაზე არსებული ურბანული და ბუნებრივი სივრცითი დომინანტები;
  - ზ.კ) მნიშვნელოვანი პანორამებისა და პერსპექტივების აღქმის წერტილები;
  - ზ.ლ) ისტორიულად ჩამოყალიბებული ლანდშაფტის საზღვრები;
  - ზ.მ) ტერიტორიაზე არსებული მწვანე მასივები, სკვერები, ბაღები და პარკები;
  - ზ.ნ) ქუჩათა ქსელის და გზების კლასიფიკაცია;
  - ზ.ო) ტერიტორიის ძირითადი გრძივი და განივი ჭრილები, მნიშვნელოვან ქუჩათა სქემატური განშლები

შენობა-ნაგებობათა ძირითადი ნიშნულების ჩვენებით;

თ) ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე ობიექტების, ურბანული და ბუნებრივი პანორამების ფოტოფიქსაციის მასალები.

6. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის ანალიტიკური ნაწილი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს ზოგადი დახასიათება:
  - ა.ა) ტერიტორიის მნიშვნელობის განსაზღვრა ზოგად კონტექსტში;
  - ა.ბ) ისტორიულად ჩამოყალიბებული არქიტექტურული და ბუნებრივი სივრცითი დომინანტების მნიშვნელობის შეფასება-ანალიზი;
- ბ) ისტორიულ-კულტურული ანალიზი:
  - ბ.ა) ქუჩათა ქსელისა და განაშენიანების ქრონოლოგიური განვითარების ანალიზი;
  - ბ.ბ) განაშენიანების ისტორიულად ჩამოყალიბებული ტიპების, მათი ძირითადი მახასიათებლების ანალიზი;
  - ბ.გ) ტრადიციული სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის ანალიზი;
  - ბ.დ) ისტორიულად ჩამოყალიბებული ფუნქციების შეფასება-ანალიზი;
- გ) განაშენიანების ფიზიკური მდგომარეობის ზოგადი შეფასება-ანალიზი, შენობა-ნაგებობათა ისტორიულ-კულტურული ღირებულების შეფასება-ანალიზი და ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით ჰომოგენური უბნების საზღვრების იდენტიფიკაცია;
- დ) კონსერვაციისა და განვითარების არეალების დადგენა.



7. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის დასკვნითი ნაწილი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) დამცავი ზონების ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის ძირითადი დებულებები და განვითარების პრინციპები;

ბ) ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის გრაფიკული ნაწილი (სინთეზური რუკა);

გ) დამცავი ზონების ფარგლებში არსებული ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტების ნუსხა;

დ) რეკომენდაციები დამცავ ზონებში დასაშვები ქმედებებისათვის, მათ შორის, რეკომენდაციები სარეაბილიტაციო ობიექტებისა (ძეგლები, კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტები, ფონური განაშენიანება, საზოგადოებრივი სივრცე და სხვა) და მათი რეაბილიტაციის მეთოდოლოგიის შესახებ.

8. ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებში განაშენიანების რეგულირების გეგმა, გარდა „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულისა, დამატებით უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) მოთხოვნები კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის შესახებ, კერძოდ, სარეაბილიტაციო ობიექტებში (ძეგლები და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტები, ფონური განაშენიანება, საზოგადოებრივი სივრცე და სხვა) ჩარევის თაობაზე;

ბ) მოთხოვნები ტერიტორიების განვითარებისა და ახალი მშენებლობების შესახებ:

ბ.ა) კონსერვაციისა და განვითარების არელების იდენტიფიკაცია (ასაღები და შესაწარმუნებელი შენობების მითითებით);

ბ.ბ) ახალი მშენებლობების დასაშვები პარამეტრები (მასშტაბი, სიმაღლე, სივრცითი და გეგმარებითი კონფიგურაცია, ფასადების რიტმი, ფენესტრაცია);

ბ.გ) მოთხოვნები საზოგადოებრივი სივრცის კეთილმოწყობის თაობაზე.

9. თუ დამცავი ზონა, რომლისთვისაც მუშავდება განაშენიანების რეგულირების გეგმა, მოიცავს არაერთგვაროვან უბნებს ან არეალებს, განაშენიანების რეგულირების გეგმის რეგლამენტი უნდა შემუშავდეს ინდივიდუალურად, შესაბამისი უბნისათვის, მიკროუბნისათვის ან არეალისათვის.

### **მუხლი 43. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა**

1. თუ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში არ არსებობს ამ კანონით დადგენილი წესით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, თითოეული სამშენებლო ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შემუშავდეს წინასაპროექტო ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის საფუძველზე. საპროექტო ობიექტის მოცულობა, გეგმარებითი სტრუქტურა და არქიტექტურული სახე დგინდება ამ კვლევის საფუძველზე. გამონაკლისია მხოლოდ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ობიექტები.

2. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის ჩატარებას უზრუნველყოფს ნებართვის მამიებელი. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის არეალი უნდა მოიცავდეს საპროექტო ნაკვეთს და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიას, საპროექტო ნაკვეთის საზღვრებიდან შესაბამისი მიმართულებით ნაკვეთის სიგრძის/სიგანის არანაკლებ ორმაგი მანძილის ფარგლებში. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის დოკუმენტაცია უნდა შედგებოდეს შემდეგი გრაფიკული და ტექსტური ნაწილებისაგან:

ა) საპროექტო ტერიტორიის ადგილი ქალაქის სტრუქტურაში და მისი არსებული მდგომარეობის დახასიათება (გრაფიკული და ტექსტური მასალა);

ბ) საკვლევი ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა საპროექტო ნაკვეთის საზღვრების, საკვლევი ტერიტორიაზე არსებული ძეგლების ჩვენებით (მასშტაბი 1:500 და 1:200);

გ) საკვლევი ტერიტორიის ისტორიული რეტროსპექტივა, განვითარების ქრონოლოგია და ეტაპები (გრაფიკული, ტექსტური და ფოტომასალა);

დ) საკვლევი ტერიტორიაზე არსებული განაშენიანების ფოტოგანშლები, საპროექტო ნაკვეთსა და ტერიტორიაზე არსებული ძეგლების მითითებით (ფოტომასალა);

ე) საკვლევი ტერიტორიაზე არსებული განაშენიანების ანალიზი (გრაფიკული და ტექსტური მასალა), რაც მოიცავს:

ე.ა) განაშენიანების სტრუქტურის, მორფოლოგიისა და მასშტაბის, შენობა-ნაგებობებისა და ღია სივრცეების კონფიგურაციის დახასიათებას, განაშენიანების სტრუქტურაში მათი განლაგების თავისებურების გამოვლენას;

ე.ბ) ძეგლებისა და ვიზუალური დომინანტების, ლანდშაფტისა და განაშენიანების სივრცით-არქიტექტურულ შეფასებას, მათი სივრცითი ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენას;

ე.გ) განაშენიანების მხატვრული და დეკორატიული ელემენტების აღწერას, მათ სტილისტურ და სემანტიკურ იდენტიფიკაციას.

3. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის დასკვნითი ნაწილი უნდა მოიცავდეს ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს საპროექტო ტერიტორიაზე განსახორციელებელი მშენებლობის სივრცით-გეგმარებითი და კომპოზიციური გადაწყვეტის შესახებ.

4. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა სავალდებულო არ არის შემდეგი ობიექტებისა და სამშენებლო საქმიანობებისათვის:

ა) მცირე არქიტექტურული ფორმები, კერძოდ:

ა.ა) 50 მ<sup>3</sup>-მდე მოცულობის ნაგებობები – პავილიონები, ჯიხურები, უსამირკვლო სავაჭრო დახლები, საჩრდილობლები, ავტოფარეხები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების ადგილები;



ა.ბ) 50 მ<sup>2</sup>-მდე ფართობის ზავშვთა სათამაშო და მცირე ზომის სპორტული მოედნები, ატრაქციონები;

ა.გ) ცალკე მდგომი ან შენობების ფასადებზე დამონტაჟებული საინფორმაციო და სარეკლამო ფარები და კონსტრუქციები;

ა.დ) დასასვენებელი სკამები, განათების ელემენტები, სკვერების, ხეივნების და სხვა, მცირე ზომის მწვანე ნარგავების ზონების კეთილმოწყობის და საინჟინრო აღჭურვილობის ნაწილები, აბრები, სანაგვე ურნები, ქალაქის საათები, ქუჩების დასახელებების და სახლების ნომრების ნიშნები, ღობეები, ჭიშკრები, მაღაზიების ვიტრინები, დასახლებებში შესასვლელების აღმნიშვნელი კომპლექსები, მემორიალური დაფების და ქანდაკებების არქიტექტურული მოწყობის ელემენტები, სასმელი წყლის სვეტები, 25 მ<sup>2</sup>-მდე ფართობის შადრევნები;

ბ) არსებული შენობების მცირე ცვლილებები საერთო ფართობით არა უმეტეს 50 მ<sup>2</sup>-ისა: სახურავის შეცვლა არსებულ გაბარიტებში, 50 მ<sup>3</sup>-მდე მოცულობის დაშენება ან მიშენება, კარის, ფანჯრის გაჭრა ან ამოშენება, აივნის დამატება ან მოხსნა.

#### **მუხლი 44. კულტურული მემკვიდრეობისათვის ზიანის მომტანი ან ამგვარი საფრთხის შემქმნელი საქმიანობის აღკვეთა**

დამცავი ზონის რეჟიმით დაუშვებელი, ზონაში ან ზონის მიღმა არსებული კულტურული მემკვიდრეობისათვის ზიანის მომტანი ან ამგვარი საფრთხის შემქმნელი საქმიანობის გამოვლენის შემთხვევაში სამინისტრო საქმიანობის შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის მოთხოვნით მიმართავს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

#### **მუხლი 45. დამცავ ზონებში შეუსაბამო შენობა-ნაგებობის სტატუსის მინიჭების პირობა**

1. დამცავ ზონებში, გარდა „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, შეუსაბამო შენობა-ნაგებობის სტატუსი ასევე ენიჭება ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში დისონანსის შემტან, მისი აღქმისათვის ხელის შემშლელ, ზონებში დაცული კულტურული მემკვიდრეობისათვის პრაქტიკულად თუ ესთეტიკურად ზიანის მომტან შენობას, ნაგებობას, საწარმოს, სახელოსნოს, საწყობს, ასევე სატვირთო და სატრანსპორტო ნაკადების წარმომქმნელ, ნიადაგის, ატმოსფეროსა და წყალსატევების გამაჟუჟყიანებელ სხვა ობიექტს.

2. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავებისა და დამტკიცების დროს, ასევე სამშენებლო და გეგმარებითი გადაწყვეტილებების მიღებისას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოები ვალდებული არიან გაითვალისწინონ შეუსაბამო შენობა-ნაგებობების აღებისა და კორექტირების პერსპექტივა.

#### **მუხლი 46. კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალი**

1. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით, სამინისტროს წარდგინებითა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინიციატივით კულტურული მემკვიდრეობის ზოგად დამცავ ზონაში შესაძლებელია დადგინდეს კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალი, რისი საფუძველიცაა სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამა.

2. კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის დადგენის საფუძველია:

ა) ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტების მაღალი კონცენტრაცია;

ბ) მაღალი ისტორიულ-კულტურული ღირებულების სივრცით-არქიტექტურული გარემო;

გ) ისტორიული განაშენიანების მძიმე ფიზიკური მდგომარეობა, დეგრადირების საფრთხის წინაშე მდგარი ავთენტიკური ისტორიული განაშენიანება და გარემო.

3. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები პასუხისმგებელი არიან სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამის განხორციელებასა და მის ზედამხედველობაზე.

4. საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამა უნდა მოიცავდეს:

ა) სარეაბილიტაციო არეალში არსებული სიტუაციის კომპლექსურ შეფასებას;

ბ) სარეაბილიტაციო არეალში არსებული განაშენიანების ისტორიული და მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების შეფასებას;

გ) სარეაბილიტაციო არეალში არსებული ძეგლების კვლევას და შეფასებას;

დ) სარეაბილიტაციო არეალში არსებული ეკონომიკური და სოციალური სიტუაციის, ტურისტული, ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის განვითარების ანალიზს;

ე) სარეაბილიტაციო არეალში არსებული კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის პირობებს;

ვ) სარეაბილიტაციო არეალში არსებული ურბანული ქსოვილის გაჯანსაღების პირობებს;

ზ) სარეაბილიტაციო არეალში არსებული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის პროექტებს;

თ) სარეაბილიტაციო არეალში არსებული მიწისზედა და მიწისქვეშა კომუნიკაციების მაგისტრალური ქსელებისა და საინჟინრო კომუნიკაციების რეაბილიტაციის პროექტებს;

ი) სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაციის პროექტებს;



- კ) სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამის ხარჯთაღრიცხვას;
  - ლ) სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამის განხორციელების ვადას;
  - მ) საზოგადოების ინფორმირებისა და სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამის განხორციელებაში მისი ჩართვის მექანიზმებს.
5. სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამის დაფინანსების წყაროებია:
- ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;
  - ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;
  - გ) საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული გრანტები;
  - დ) შემოწირულებები;
  - ე) კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი;
  - ვ) ის სახსრები, რომლებიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.
6. „კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი“ დგინდება კანონით, სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამის განხორციელების ვადით.

**თავი IX. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები, ნებართვების გაცემის წესი და სანებართვო პირობები**

**მუხლი 47. ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები, ნებართვების გაცემის წესი**

1. ძეგლზე ამ კანონის 25-ე მუხლით განსაზღვრული სამუშაოების ჩატარების სამართლებრივი საფუძველია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვა, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-10 პუნქტებში მითითებული შემთხვევებისა.
2. თუ ძეგლი იმავდროულად განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტია, მასზე ჩასატარებელ სამუშაოებზე გაიცემა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის ნებართვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვა გაიცემა სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ხოლო უძრავი ძეგლის შემთხვევაში – ასევე კვლევით სამუშაოებზე, თუ ეს სამუშაოები გულისხმობს ძეგლზე ფიზიკურ ზემოქმედებას.
4. ძეგლზე ჩასატარებელ სამუშაოებზე გაიცემა მხოლოდ ერთი, ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით განსაზღვრული ნებართვა და ძეგლზე სამუშაოების ჩატარება სხვა ნებართვას არ საჭიროებს.
5. არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების სამართლებრივი საფუძველია არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვა, გარდა ძეგლზე ჩასატარებელი არქეოლოგიური სამუშაოებისა და ამ მუხლის მე-10 პუნქტში მითითებული შემთხვევებისა. არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვა გაიცემა მხოლოდ იმ სავსე არქეოლოგიურ სამუშაოებზე, რომლებიც გულისხმობს არქეოლოგიურ ობიექტზე ფიზიკურ ზემოქმედებას.
6. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვებს გასცემს სამინისტრო ან სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო. ნებართვა გაიცემა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისათვის საჭირო ვადით, სამუშაოთა მოცულობის, სირთულის, გარემო პირობების, ასევე ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკის გათვალისწინებით.
7. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის მაძიებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ძეგლის მესაკუთრე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, ხოლო არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის მაძიებელი შეიძლება იყოს მხოლოდ შესაბამისი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, გარდა ამ კანონის 54-ე მუხლში მითითებული შემთხვევებისა.
8. თუ ძეგლზე სამუშაოები ან არქეოლოგიური სამუშაოები სახელმწიფო ორგანომ უნდა ჩაატაროს, ხორციელდება ამ კანონით განსაზღვრული შესაბამისი პროცედურა, მაგრამ სანებართვო მოწმობა არ გაიცემა.
9. ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებაზე უფლებამოსილია მხოლოდ ამ სფეროში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. ძეგლზე სამუშაოებსა და არქეოლოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებული სერტიფიცირების წესები დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.
10. ამ მუხლით განსაზღვრული ნებართვები არ გაიცემა, თუ სამუშაოების ჩატარებაზე არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება.
11. ძეგლზე სამუშაოების ან არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობაში უნდა მიეთითოს ნებართვის მფლობელის ვინაობა, შესაბამისი განცხადების თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი, სამუშაოთა სახეობა და ჩატარების ვადები. სანებართვო მოწმობების ფორმები მტკიცდება მინისტრის ნორმატიული აქტით.
12. ამ თავით განსაზღვრული ნებართვების გაცემის სხვა წესი და სანებართვო პირობები დგინდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი № 528 - სსმ I, № 34, 04. 1 2.200 8 წ., მუხ.2 12

საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.





**მუხლი 48. განცხადების წარდგენა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის ან არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის მისაღებად**

1. განცხადება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის ან არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის მისაღებად უნდა შეიცავდეს ზუსტ მითითებას, თუ რა სახეობისა და მოცულობის სამუშაოებს ისახავს მიზნად ნებართვის მაძიებელი.

2. განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ნებართვის გამცემ ორგანოს წარედგინება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი, სათანადო წესით დამოწმებული, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაეცემა ნებართვის მფლობელს.

3. განცხადებას, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტებისა, დამატებით უნდა დაერთოს:

ა) შესაბამისი სამუშაოების ამ კანონით განსაზღვრული სრული საპროექტო დოკუმენტაცია, გარდა ამ კანონის 51-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) უძრავი ობიექტის შემთხვევაში – შესაბამისი ობიექტის ან ტერიტორიის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი და საკადასტრო რუკა, ხოლო თუ ნებართვის მაძიებელი არ არის შესაბამისი ობიექტის ან ტერიტორიის მესაკუთრე, – ასევე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) თუ უძრავი ობიექტი სახელმწიფო საკუთრებაა – უძრავი ობიექტის სახელმწიფო საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ შემთხვევაში ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით მონაწილეობს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო, რომელიც განცხადებით განსაზღვრულ სამუშაოებზე თანხმობას ან დასაბუთებულ უარს გასცემს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

4. არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის შემთხვევაში განცხადებას ასევე უნდა დაერთოს მუზეუმის, ინსტიტუტის ან სხვა შესაბამისი დაწესებულების თანხმობის წერილი სამუშაოთა ჩატარების შედეგად გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის განთავსებისა და მისი შენახვის პირობების უზრუნველყოფის შესახებ.

5. თუ ძეგლზე სხვა სამუშაოებთან ერთად ან დამოუკიდებლად უნდა ჩატარდეს არქეოლოგიური სამუშაოები, განცხადებას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის თაობაზე უნდა დაერთოს ამ კანონით განსაზღვრული არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია.

**მუხლი 49. ძეგლზე სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა**

1. მოძრავი ძეგლის, ასევე უძრავი ძეგლის გადაადგილებადი ფრაგმენტის (გარდა პალეოგრაფიული და მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლებისა) კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);

ბ) ძეგლის არსებული მდგომარეობის ფიქსაცია, მათ შორის, ფოტო და ვიზუალური აღწერის მასალები, შესაბამისი ანალიზები;

გ) სამუშაო გეგმა, მისი დასაბუთება, პროცესის თანმიმდევრობის ჩვენებით; სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;

დ) მოსალოდნელი შედეგების აღწერა.

2. უძრავი ძეგლის კვლევითი სამუშაოების პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) განმარტებითი ბარათი. განმარტებით ბარათში დასაბუთებული უნდა იყოს კვლევის მიზნით ძეგლზე ფიზიკური ზემოქმედების აუცილებლობა და კვლევითი სამუშაოების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან. განმარტებით ბარათში უნდა მიეთითოს:

ა.ა) ძეგლის ზუსტი დასახელება, მისი ადგილმდებარეობის დასახელება და ზუსტი მისამართი;

ა.ბ) სამუშაოთა სახეობები და მოცულობა, შერჩეული მეთოდოლოგია;

ა.გ) კომპლექსური ძეგლის შემთხვევაში, როდესაც არსებობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული კონსერვაციის გეგმა, ხოლო პროექტი მხოლოდ მისი ფრაგმენტის შესწავლას ითვალისწინებს, – სამუშაოების კონსერვაციის გეგმასთან შესაბამისობა;

ბ) საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა (მასშტაბი 1:1000 ან 1:2000), ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი გლობალური თანამგზავრული სისტემით განსაზღვრული კოორდინატებით (შემდგომში – GPS კოორდინატები);

გ) საპროექტო ობიექტის საერთო ხედების ამსახველი უახლესი ფოტომასალა;

დ) სამუშაო გეგმა, მისი დასაბუთება, პროცესის თანმიმდევრობის ჩვენებით; სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;

ე) მოსალოდნელი შედეგების აღწერა.

3. უძრავი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი უნდა შემუშავდეს კვლევითი სამუშაოების საფუძველზე. იგი, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული შემთხვევისა, შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);

ბ) საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა (მასშტაბი 1:1000 ან 1:2000);



- გ) საპროექტო ობიექტისა და მისი საერთო ხედების ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ნაწილის განშლა მიმდებარე ნაგებობებთან ერთად, დაზიანების არსებობის შემთხვევაში – ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა, საარქივო ფოტომასალა, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების ფოტომონტაჟი;
- დ) ძეგლის ანაზომები (კროკები, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:100, 1:50));
- ე) სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები (ბიბლიოგრაფიული კვლევის ანალიზი, ნატურაში კვლევის ანალიზი, შესწავლილი ბიბლიოგრაფიული და საარქივო მასალის ჩამონათვალი);
- ვ) კვლევითი სამუშაოებისას არქეოლოგიური კვლევის ჩატარების შემთხვევაში – არქეოლოგიური კვლევის შედეგები (საკვლევი ტერიტორიის კვადრატებად დაყოფის სქემა, არქეოლოგიური კვლევისას გამოვლენილი ძეგლების განლაგების სქემა და ანაზომი, შურფების განლაგების სქემა, დადასტურებული არქეოლოგის მიერ ხელმოწერით, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:25, 1:20), ტექსტური აღწერილობა, არქეოლოგიური კვლევის შედეგების ანგარიში);
- ზ) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (შურფების განლაგების სქემა, დადასტურებული არქეოლოგის ხელმოწერით, ლაბორატორიული ანალიზი, ლითოგრაფიული ჭრილები და რეკომენდაციები);
- თ) არსებული სამშენებლო მასალების ბიოქიმიური ანალიზი (აღებული სინჯების განლაგების სქემა, ლაბორატორიული ანალიზი და რეკომენდაციები), კვლევა სამუშაოებისას გამოსაყენებელი მასალის ძეგლზე არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ;
- ი) ზონდირების შემთხვევაში – ზონდაჟების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;
- კ) არქიტექტურული დეტალების განლაგების სქემები, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;
- ლ) კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მასშტაბი 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;
- მ) სადემონსტრაციო მასალა (გეგმები, ფასადები, ჭრილები (მასშტაბი 1:50, 1:100, 1:200), ფრაგმენტები და დეტალები (მასშტაბი 1:20, 1:10)), ფოტომონტაჟი და პროექტის დასაბუთება;
- ნ) სამუშაო პროექტი (არქიტექტურული სამუშაო ნახაზები, შაბლონები (მასშტაბი 1:100, 1:50, 1:1), კონსტრუქციული მუშა ნახაზები და გაანგარიშებები);
- ო) სამუშაო გეგმა, მისი დასაბუთება, პროცესის თანმიმდევრობის ჩვენებით; სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;
- პ) სამუშაოთა ჩატარების ორგანიზების პროექტი;
- ჟ) მოსალოდნელი შედეგების აღწერა.
4. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების (ფასადის სამღებრო სამუშაოები; აბრებისა და შუქფარების განთავსება; საინჟინრო კომუნიკაციების შეკეთება, გამოცვლა, დამონტაჟება მზიდი კონსტრუქციული ნაწილების ცვლილების გარეშე; ცალკეული არქიტექტურული დეტალების, მათ შორის, ღიობების, კიბეების, აივნების, დეკორატიული ელემენტების სახეცვლილება, ინტერიერში ჩასატარებელი სარესტავრაციო, სამღებრო ან სარემონტო, ასევე ძეგლის გაწმენდის სამუშაოები) პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:
- ა) განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);
- ბ) საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა – მასშტაბი 1:1000 ან 1:2000;
- გ) საპროექტო ობიექტის საერთო ხედების ამსახველი უახლესი ფოტომასალა;
- დ) სამუშაოების ამსახველი გრაფიკული მასალა, შესაბამისი ნიშნულების ჩვენებით;
- ე) ძეგლის შესაბამისი ნაწილის ანაზომები;
- ვ) სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, ჩასატარებელ სამუშაოთა დასაბუთებით;
- ზ) სამუშაო გეგმა, სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;
- თ) პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების ფოტომონტაჟი.
- 4<sup>1</sup>. იმგვარი მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ძეგლის სახურავის (საბურველის) საფარისა (ყვარი, კრამიტი, ლორფინი და სხვ.) და სარინელების შეკეთებას, გამოცვლას ან/და დამონტაჟებას მზიდი კონსტრუქციული ნაწილების ცვლილების გარეშე, შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:
- ა) საპროექტო ობიექტის საერთო ხედების ამსახველი უახლესი ფოტომასალა;
- ბ) პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების ფოტომონტაჟი;
- გ) განმარტებითი ბარათი (შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);
- დ) სამუშაო გეგმა, სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი.
5. თუ ძეგლზე სამუშაოები მისი პალეოგრაფიული ან მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის ფრაგმენტსაც მოიცავს, ძეგლზე სამუშაოების პროექტს ასევე უნდა დაერთოს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.
6. პალეოგრაფიული ან მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:
- ა) განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);
- ბ) უძრავი ძეგლის შემთხვევაში – საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა (მასშტაბი



1:1000 ან 1:2000), GPS კოორდინატებით;

გ) საპროექტო ობიექტის საერთო ხედების ამსახველი უახლესი ფოტომასალა, დაზიანებული ელემენტებისა და ფრაგმენტების დეტალური ფოტოფიქსაცია;

დ) საპროექტო ობიექტის ანაზომი, დაზიანებათა განლაგების სქემა (მასშტაბი 1:50, 1:25), ცალკეული დეტალები (მასშტაბი 1:1), შაბლონები;

ე) საპროექტო ობიექტის ბიოქიმიური ანალიზი (ადებული სინჯების განლაგების სქემა, ლაბორატორიული ანალიზის შედეგები);

ვ) საპროექტო ობიექტის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა;

ზ) შესაბამისი სპეციალისტის დასკვნა სამუშაოებისას გამოსაყენებელი მასალის ძეგლზე არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ;

თ) სამუშაო გეგმა, მისი დასაბუთება, პროცესის თანმიმდევრობის ჩვენებით; სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;

ი) მოსალოდნელი შედეგების აღწერა.

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი № 528 - სსმ I, № 34, 04.12.2008 წ., მუხ.212

### **მუხლი 50. არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა**

არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) განმარტებითი ბარათი. განმარტებით ბარათში დასაბუთებული უნდა იყოს სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა და მათი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან, სამუშაოების სახეობებისა და მოცულობის მითითებით. განმარტებით ბარათში უნდა მიეთითოს:

ა.ა) არქეოლოგიური ობიექტის ზუსტი დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ა.ბ) მისი ადგილმდებარეობის დასახელება და ზუსტი მისამართი;

ა.გ) თუ პროექტი, სამუშაოებისა და არქეოლოგიური ობიექტის მოცულობიდან გამომდინარე, მხოლოდ ობიექტის ფრაგმენტის შესწავლას ან რეაბილიტაციას ითვალისწინებს, – ობიექტის შესწავლის, რეაბილიტაციისა და განვითარების ერთიან კონცეფციასთან (კონსერვაციის გეგმის არსებობის შემთხვევაში – ასევე კონსერვაციის გეგმასთან) სამუშაოების შესაბამისობა;

ა.დ) ჩასატარებელი სამუშაოების შედეგად გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტებისა და მასალის კონსერვაციისა და რეკულტივაციის, შესაბამის საცავებში შემდგომი დაბინავებისა და შენახვის პირობების უზრუნველყოფა;

ა.ე) დასკვნა სამუშაოების ჩატარების მოსალოდნელი შედეგების შესახებ;

ბ) შესასწავლი ტერიტორიის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა (მასშტაბი 1:1500 და 1:500), GPS კოორდინატებით;

გ) შესასწავლი ტერიტორიისა და მასზე არსებული ობიექტების ფიქსაციის, მათ შორის, ფოტო და ვიზუალური აღწერის მასალები, შესაბამისი ანალიზები, წინასწარი დაზვერვითი სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში – დაზვერვითი სამუშაოების შედეგები;

დ) შესასწავლი ტერიტორიის (ობიექტის) ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და საარქივო კვლევის მასალები, შესაბამისი წყაროების მითითებით, კერძოდ, სამუზეუმო და საარქივო მასალების (არსებობის შემთხვევაში – ისტორიული რუკები და გენერალური გეგმები, ისტორიული საკადასტრო და ნაგებობების გეგმები, არქივებში დაცული, საპროექტო ტერიტორიის ამსახველი ფოტომასალა, კოსმოსური და აეროფოტომასალები) მოძიება, შესასწავლ ტერიტორიაზე მოპოვებული პირველადი ინფორმაციის საარქივო მონაცემებთან მიმართების ანალიზი;

ე) სამუშაოთა ჩატარების ორგანიზების პროექტი და მათი ჩატარების კალენდარული გრაფიკი, სექტორებისა და შესაბამისი სამუშაოების თანმიმდევრობის ჩვენებით, ხანგრძლივი (მრავალწლიანი) ექსპედიციის შემთხვევაში – სამუშაოების შუალედური და საერთო ხანგრძლივობის მითითებით.

### **მუხლი 51. გადაუდებელი აუცილებლობისას ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების სახეობები და სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა**

1. თუ ბუნებრივი და გარემო ფაქტორების ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად ძეგლს ან არქეოლოგიურ ობიექტს ემუქრება შეუქცევადი დაზიანება ან განადგურება და ამის გამო არსებობს მასზე არქეოლოგიური ან კვლევითი სამუშაოების ან პრევენციული კონსერვაციის ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა და სრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა ვერ ესწრება, შესაბამისი ნებართვის გაცემა შესაძლებელია არასრული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ არქეოლოგიური ან კვლევითი სამუშაოების ან პრევენციული კონსერვაციის ჩატარება. ამ შემთხვევაში სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) განმარტებითი ბარათი. განმარტებით ბარათში უნდა მიეთითოს: ძეგლის ან არქეოლოგიური ობიექტის (მოძრავი ძეგლის შემთხვევაში – მისი ძირითადი შენახვის ადგილის) ზუსტი დასახელება, არქეოლოგიური ობიექტის ზუსტი დასახელების არარსებობის შემთხვევაში – მისი ადგილმდებარეობის დასახელება და ზუსტი მისამართი. განმარტებით ბარათში დასაბუთებული უნდა იყოს:

ა.ა) სამუშაოების ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა და არსებულ პირობებში სრული საპროექტო



დოკუმენტაციის შედგენის შეუძლებლობა;

ა.ბ) ჩატარებული სამუშაოს ტიპი, სახეობა და მოცულობა, გამოსაყენებელი ტექნოლოგიები და მეთოდოლოგია და მათი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან;

ა.გ) პრევენციული კონსერვაციის შემთხვევაში – ასევე პრევენციული კონსერვაციის ეფექტიანობის სავარაუდო ხანგრძლივობა, შემდგომ ღონისძიებათა სახეობები და მათი განხორციელების სავარაუდო ვადები;

ბ) ობიექტისა და მისი დაზიანებების ამსახველი დეტალური ფოტომასალა;

გ) უძრავი ობიექტის შემთხვევაში – შესასწავლი ტერიტორიის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა შესაბამისი მასშტაბით, ზუსტი კოორდინატებით;

დ) არქეოლოგიური სამუშაოების შემთხვევაში – ასევე ჩასატარებელი სამუშაოების შედეგად გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტებისა და მასალის კონსერვაციისა და რეკულტივაციის, შესაბამის საცავებში შემდგომი დაბინავებისა და შენახვის პირობების უზრუნველყოფა;

ე) სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი (არქეოლოგიური ობიექტის შემთხვევაში – სექტორებისა და შესაბამისი სამუშაოების თანმიმდევრობის ჩვენებით);

ვ) დასკვნა სამუშაოების ჩატარების მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

## **მუხლი 52. ნებართვის მფლობელის მიერ სამუშაოთა შესრულებაზე ანგარიშების წარდგენა, სახელმწიფო კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე**

1. ამ კანონით განსაზღვრულმა ნებართვის მფლობელმა სამუშაოთა მიმდინარეობისას პერიოდულად უნდა წარადგინოს სამუშაოთა შუალედური ანგარიში, ხოლო სამუშაოთა დასრულების შემდეგ – სამუშაოთა საბოლოო ანგარიში და მათი ადგილზე შემოწმების მიზნით უნდა დაუშვას ნებართვის გამცემი ორგანოს წარმომადგენლები.

2. ნებართვის მფლობელის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ანგარიშების წარდგენის პერიოდულობას ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას განსაზღვრავს სამინისტრო და იგი აისახება სანებართვო მოწმობაში.

3. სამუშაოთა ანგარიში უნდა მოიცავდეს საკითხებს სამუშაოთა მიმდინარეობის, მათი შესრულების ხარისხის, შექმნილი ან გამოვლენილი, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ვითარებებისა და გარემო ფაქტორების, სამუშაოთა მიმდინარეობისას გამოვლენილი ან აღმოჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ან მასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და ობიექტების შესახებ.

4. თუ უძრავი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოები ითვალისწინებდა მასზე საინჟინრო კომუნიკაციების, ტექნოლოგიური მოწყობილობების ან/და ხაზების შეცვლას ან დამონტაჟებას, სამუშაოთა საბოლოო ანგარიშს უნდა დაერთოს:

ა) საზოგადოებრივ და საცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ლიფტებისა და ესკალატორების, ხოლო სამრეწველო ობიექტების შემთხვევაში – დამონტაჟებული ტექნოლოგიური მოწყობილობების ან/და ხაზების გამოცდის აქტები, დამოწმებული შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ;

ბ) გარე კომუნიკაციებზე საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მიერთების დადასტურება, გაცემული შესაბამისი კომპანიის მიერ.

5. სამუშაოთა შესაბამისი ეტაპის დასრულებისას, შუალედური და საბოლოო ანგარიშების საფუძველზე, სამინისტროს წარმომადგენლები ადგენენ სამუშაოთა შესაბამისი ეტაპის მიღების ოქმს, რომლის ერთი ასლი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ბარდება ნებართვის მფლობელს. ოქმში აღინიშნება ჩატარებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობა.

6. ნებართვის მფლობელი ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მაკონტროლებელ ან ზედამხედველ ორგანოს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში წარუდგინოს სანებართვო მოწმობა ან/და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია და მისცეს შესაბამისი ობიექტის დათვალიერების შესაძლებლობა.

7. ამ კანონით ძეგლზე სამუშაოების ან არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო პირობები შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ ნებართვის მფლობელის მიერ შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოებისა და პირობების სრულად შესრულებისა და ამ მუხლით განსაზღვრული ანგარიშების სრულად წარდგენის შემდეგ, რის შედეგადაც გამოიცემა მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სამუშაოების მიღების თაობაზე.

8. სამუშაოების მიღებაზე უარის თქმის საფუძველია:

ა) ამ მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების წარუდგენლობა;

ბ) ნებართვის გამცემი ორგანოს წარმომადგენლებისათვის ობიექტის დათვალიერებაში ხელის შეშლა;

გ) სანებართვო პირობების შეუსრულებლობა, მათ შორის, ჩატარებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობა.

9. ნებართვის მფლობელი პასუხისმგებელია სანებართვო პირობების შესრულებაზე, გარდა ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

10. „არქეოლოგიური სამუშაოებისა და ძეგლზე სამუშაოების ჩატარების წესის შესახებ“ და „ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანებებით განსაზღვრული, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სანებართვო პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებელია შესაბამისი ბრალეული პირი.



### **მუხლი 53. ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო პირობების ცვლილება**

1. თუ ამ კანონით განსაზღვრული ნებართვის საფუძველზე ძეგლზე ან არქეოლოგიურ ობიექტზე ჩატარებული სამუშაოებისას წარმოიშობა შესაბამისი სანებართვო პირობების (საპროექტო დოკუმენტაცია, სამუშაოთა ჩატარებისა და ანგარიშების წარდგენის ვადები, სამუშაოთა მოცულობა ან/და სხვა რამ, რაც არ ქმნის ახალი ნებართვის გაცემის საფუძველს) ცვლილების აუცილებლობა, ნებართვის მფლობელი ვალდებულია, სანებართვო პირობების ცვლილების მოთხოვნით, განცხადებით მიმართოს სამინისტროს.

2. განცხადებას სანებართვო პირობების ცვლილების შესახებ უნდა დაერთოს ცვლილების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია.

3. სანებართვო პირობების ცვლილების საფუძველია მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუ სანებართვო პირობების ცვლილება ითვალისწინებს სანებართვო მოწმობაში შეტანილი მონაცემების ცვლილებას, გაიცემა ახალი სანებართვო მოწმობა, ხოლო ძველი ძალადაკარგულად ცხადდება. ამ შემთხვევაში ახალ სანებართვო მოწმობაზე მოსაკრებელი არ გადაიხდებიან.

### **მუხლი 54. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვებზე გაუქმება, პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის**

1. ძეგლზე სამუშაოების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი, სათანადო სავალდებულო პროფესიული კვალიფიკაციის არმქონე პირის მიერ ჩატარება არის ბრალეული პირის დაჯარიმების, ასევე ამ კანონით განსაზღვრული შესაბამისი ნებართვის გაუქმების საფუძველი.

2. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვების გაუქმების სხვა საფუძველები და წესი განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. პასუხისმგებლობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ან არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის მფლობელის მიერ ამ კანონით დადგენილი სანებართვო პირობების დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

### **მუხლი 55. არქეოლოგიური სამუშაოებისა და ძეგლზე სამუშაოების მესაკუთრის (მფლობელის) თანხმობის გარეშე ჩატარება**

1. სამინისტრო, სხვა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია, მესაკუთრის (მფლობელის) თანხმობის გარეშე თავად ჩაატაროს სარეაბილიტაციო, კვლევითი ან არქეოლოგიური სამუშაოები ძეგლზე ან არქეოლოგიურ ობიექტზე ანდა ეს სამუშაოები სხვა პირს დაუკვეთოს, თუ:

ა) არსებობს ამ კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საფუძველები;

ბ) არქეოლოგიური ობიექტი ან მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია იგი, არ არის სახელმწიფოს საკუთრება ან ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემულია სხვა პირზე, ამასთანავე, მესაკუთრე (მფლობელი) არაა თანახმა არქეოლოგიურ ობიექტზე სარეაბილიტაციო, კვლევითი ან არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებაზე და არსებობს ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორგანო ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს მესაკუთრეს (მფლობელს) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამუშაოების შედეგად მიყენებული ზიანი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას სამუშაოების მესაკუთრის (მფლობელის) თანხმობის გარეშე ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, რომლის საფუძველზედაც სამინისტრო გასცემს შესაბამის ნებართვას. სასამართლო განცხადებას განიხილავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ვადებში და დადგენილი წესით. სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდება დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილების აღსრულების წესით. სასამართლოს მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალწარმოებისას გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს სამუშაოთა ჩატარების უფლების მოპოვებით დაინტერესებული პირი.

4. სამუშაოთა ჩატარების უფლების მინიჭების შესახებ განცხადება წარედგინება სასამართლოს. განცხადება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულისა, ასევე უნდა შეიცავდეს:

ა) მითითებას ჩასატარებელი სამუშაოების სახეობებისა და მათი ჩატარების ვადების შესახებ;

ბ) დასაბუთებას სამუშაოთა ჩატარების აუცილებლობისა და შესაბამისი გარემოებების არსებობის შესახებ;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მესაკუთრისათვის (მფლობელისათვის) ზიანის მიყენების ალბათობისას – მითითებას საკომპენსაციო თანხის ოდენობისა და გადახდის ვადის შესახებ;

დ) ამ კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მითითებას ძეგლის მესაკუთრის (მფლობელის) მიერ სამუშაოს შემსრულებლისათვის ძეგლის გადაუდებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დახარჯული თანხის ოდენობისა და გადახდის ვადის შესახებ.

5. განცხადებას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტებისა, ასევე უნდა დაერთოს ამ კანონით განსაზღვრული შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია. თუ სარეაბილიტაციო



(არქეოლოგიური) სამუშაოების პროექტის შესადგენად აუცილებელია წინასწარი კვლევითი სამუშაოების ჩატარება, განცხადებას უნდა დაერთოს კვლევითი სამუშაოების პროექტი, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია სასამართლოს შუალედური გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლო დაინტერესებულ მხარეს განუსაზღვრავს კვლევითი სამუშაოების ჩატარებისა და სარეაბილიტაციო (არქეოლოგიური) სამუშაოების პროექტის მომზადების ვადას, რომლის განმავლობაშიც სასამართლო წარმოება შეჩერდება. ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ამ ვადის გაგრძელების შესახებ. სარეაბილიტაციო (არქეოლოგიური) სამუშაოების პროექტის სასამართლოში წარდგენისას, ასევე წარსადგენად განსაზღვრული ვადის გასვლისას სასამართლო წარმოება განახლდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამუშაოების პროექტი სასამართლოში წარდგენამდე უნდა შეუთანხმდეს სამინისტროს.

6. სასამართლოს გადაწყვეტილება სამუშაოების ჩატარების შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) მითითებას ჩასატარებელი სამუშაოების სახეობების, შესაბამისი პროექტის და მისი განხორციელების ვადის შესახებ;

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მესაკუთრისათვის (მფლობელისათვის) ზიანის მიყენების ალბათობისას – მითითებას საკომპენსაციო თანხის ოდენობისა და გადახდის ვადის შესახებ;

გ) ამ კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მითითებას ძეგლის მესაკუთრის (მფლობელის) მიერ სამუშაოს შემსრულებლისათვის ძეგლის გადაუდებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დახარჯული თანხის ოდენობისა და გადახდის ვადის შესახებ.

7. თუ არქეოლოგიური ობიექტის ან ძეგლის ინტერესი გადაუდებელ, სასწრაფო ჩარევას მოითხოვს (გარემო ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოსალოდნელია მისი შეუქცევადი დაზიანება ან განადგურება), სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს შუალედური გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც სამინისტრო დაუყოვნებლივ გასცემს შესაბამისი სამუშაოების ნებართვას. ამ შემთხვევაში სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს სამუშაოების შედეგად მიყენებული ზიანი, კომპენსაციის ოდენობა და გადახდის ვადა.

### **მუხლი 55<sup>1</sup>. (ამოღებულია)**

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი № 528 - სსმ I, № 34, 04. 1 2.200 8 წ., მუხ.2 12

საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 – ვებგვერდი, 25.09.2013წ.

## **თავი X. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დაფინანსება**

### **მუხლი 56. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დაფინანსება**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ფინანსდება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან;

ბ<sup>1</sup>) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან;

გ) მესაკუთრის (მფლობელის) სახსრებით;

დ) საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული გრანტებით;

ე) შემოწირულებებით;

ვ) კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებლით;

ზ) იმ სახსრებით, რომლებიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5553 - ვებგვერდი, 28.12.2011 წ.

### **მუხლი 57. სახელმწიფო შეღავათები**

1. სახელმწიფო ადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საგადასახადო და სხვა შეღავათებს.

2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საგადასახადო და სხვა შეღავათები განისაზღვრება შესაბამისი სფეროს კანონმდებლობით.

## **თავი XI. პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის**

### **მუხლი 58. პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის**

პასუხისმგებლობა ამ კანონის, ასევე არქეოლოგიური სამუშაოების და ძეგლზე სამუშაოების ჩატარების წესების დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

## **კარი III. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი**

### **თავი XII. გარდამავალი დებულებანი**





### **მუხლი 59. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები (გამოსაცემი) ნორმატიული აქტები**

1. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მიღებულ (გამოცემულ) იქნეს შემდეგი ნორმატიული აქტები:
  - ა) „არქეოლოგიური სამუშაოებისა და ძეგლზე სამუშაოების ჩატარების წესის შესახებ“ მინისტრის ბრძანება;
  - ბ) „ძეგლის სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმებისა და მათი შევსების წესების დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანება;
  - გ) „ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანება;
  - დ) „უძრავი ძეგლის საანოტაციო დაფის ფორმისა და გამოყენების წესის შესახებ“ მინისტრის ბრძანება;
  - ე) „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანება;
  - ვ) „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიისა და რეეტრის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანება;
  - ზ) „სამინისტროსა და ძეგლის მესაკუთრეს (კანონიერ მფლობელს) შორის დასადები ხელშეკრულებისა და მესაკუთრის (კანონიერი მფლობელის) მიერ სამინისტროსათვის წარსადგენი ინფორმაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანება;
  - თ) „მომეტებული საჯარო ინტერესების მქონე ძეგლთა ნუსხა და მათზე მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) მიერ საზოგადოების დაშვების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება;
  - ი) „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შემუშავების წესების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება;
  - კ) „კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პროფესიული საქმიანობის რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონი.

2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2018 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ამ კანონის ამოქმედებამდე ძეგლთა სახელმწიფო სააღრიცხვო რეესტრში შეტანილი ძეგლებისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა სიაში შეტანილი ობიექტების ხელახალი რეგისტრაცია ამ კანონის შესაბამისად.

3. ამ კანონის ამოქმედებამდე გამოცემული სამართლებრივი აქტები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უძრავ ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში შეტანის, მათთვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების, ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა სიის დამტკიცებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დამცავი ზონების დადგენის შესახებ მათი ამ კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციამდე ჩაითვალოს ამ კანონის შესაბამისად გამოცემულად.

4. (ამოღებულია - 06.09.2013, №1075).

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი № 528 - სსმ I, № 34, 04.12.2008 წ., მუხ.212

საქართველოს 2010 წლის 26 ოქტომბრის კანონი №3740 - სსმ I, №62, 05.11.2010 წ., მუხ.380

საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1075 - ვებგვერდი, 25.09.2013წ.

### **თავი XIII. დასკვნითი დებულებანი**

### **მუხლი 60. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული ნორმატიული აქტი**

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №33(40), 1999 წელი, მუხ. 167).

### **მუხლი 61. კანონის ამოქმედება**

1. ეს კანონი, გარდა 47-ე მუხლის მე-9 პუნქტისა, 52-ე მუხლის მე-10 პუნქტისა და 54-ე მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

2. ამ კანონის 47-ე მუხლის მე-9 პუნქტი, 52-ე მუხლის მე-10 პუნქტი და 54-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს „კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პროფესიული საქმიანობის რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მ. სააკაშვილი

თბილისი,

2007 წლის 8 მაისი.

№4708-ის

